მერია და პრეზიდენტის ფონდი ძველი ვალის გასტუმრებას აპირებენ A2

ქალები ირანის პოლიციაშიც დაიწყებენ სამსახურს A4

„ხალხის პირისპირ„ - ანკეტა A7

www.24hours.ge

24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ორშაბათი, 6 იანვარი, 2003 წელი. №4 (216)

ფასი 50 თეთრი

ათი წლის წინათ დაგროვებულ საქართველოს ახლა თავში ურტყამენ

ენგურის ხიდზე საპროტესტო აქციები - მაქსიმუმი, რასაც საქართველო აფხაზეთის დასაბრუნებლად აკეთებს

ბადრი კოპლატაძე

სამიოდე თვის წინ ქართულ პრესაში ასლან აბაშიძის პრეზიდენტ შევარდნაძისადმი მიწერილი წერილის შინაარსი გახმაურდა. დოკუმენტმა, რომელშიც აბაშიძე აფხაზეთის პრობლემისადმი თავის დამოკიდებულებას აღწერდა, საკმაოდ დიდი რეზონანსი ჰპოვა. წერილში კონფლიქტის მოწესრიგებისათვის აუცილებელ ღონისძიებათა მოკლე ნუსხა იყო მოცემული. მასში პირველი ადგილი აფხაზეთისათვის ეკონომიკური ბლოკადის მოხსნას და სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას ეკავა. სულ ცოტა ხანში წერილში მოხსენიებულმა მიდგომებმა რეალურ ცხოვრებაში იჩინა თავი. დღეს ირკვევა, რომ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო დრაკონულს უწოდებს იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც აფხაზეთის მიმართ ტარდება, ხოლო სოჭი-სოხუმის რკინიგზის გახსნა ერევანი-თბილისი-სოხუმის მაგისტრალის ხელახალი ამუშავების წინაპირობად სახელდება.

აბაშიძის ეს წერილი მის მორიგ მოსკოვურ ვიზიტს დაემთხვა. თავის დროზე სწორედ ამიტომაც აღინიშნებოდა, რომ წერილში აღწერილი მიდგომები პრობლემის გადაწყვეტისადმი რუსეთის დამოკიდებულებას ასახავდა. არც ის იყო შემთხვევითი, რომ ამის პარალელურად რუსეთი ყველანაირად ბლოკავდა გაერო-ში "ბოდენის გეგმად" წოდებული დოკუმენტის განხილვას, რომლის ძირითადი თემა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის განსაზღვრა იყო. მოგვიანებით პრეზიდენტმა პუტინმა ოფიციალურად განაცხადა, რომ რუსეთი ხელს აღარ შეუშლიდა ამ წინადადებების განხილვას, მაგრამ ბოლო დღეებში მიმდინარე მოვლენები იმაზე მიუთითებს, რომ რუსეთი კონფლიქტისადმი საკუთარი, ბოდენის დოკუმენტისაგან განხვავებული, მიდგომის რეალიზებას იწყებს. ეკონომიკურ ფაქტორებზე აქცენტირება და, აქედან გამომდინარე, კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების თემის უკანა პლანზე გადაწევა, როგორც მოსკოვისათვის, ისე სოხუმისათვის, მოქმედების ყველაზე ეფექტური ვარიანტია. ამ შემთხვევაში აშკარაა ის სარგებელი, რომელსაც აფხაზეთის ფაქტობრივი ხელისუფლება ნახავს. ისინი არასოდეს მალავდნენ, რომ კონფლიქტის ამ ფორმით დროში გაწელვა მათთვის სრულიად მისაღებია, მით უფრო, თუ ეკონომიკური სიტუაციის გაუმჯობესების პერსპექტივაც გამოიკვეთება.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს რკინიგზის თემით ჩვენი მეზობელი სომხეთის დაინტერესება. თავის დროზე, ომის დაწყების წინ, სარკინიგზო მაგისტრალის უსაფრთხოების დაცვის საკითხი სომხეთის კუთვნილი ტვირთების გაძარცვის კონტექსტშიც მოიხსენიებოდა. თემა აქტუალურობას შემდეგაც ინარჩუნებდა. გარკვეულ ეტაპზე ედუარდ შევარდნაძე სარკინიგზო მაგისტრალის დასაცავად ქართულ-სომხურ-რუსული ბატალიონის შექმნის ინიციატივითაც გამოვიდა. რკინიგზის აღდგენით თავის დაინტერესებას არასოდეს მალავდა თვითონ სომხეთიც - ამ ქვეყნის რთული გეოგრაფიული მდებარეობა პირდაპირ აისახება ეკონომიკურ სიტუაციაზე. სხვათა შორის, სომხეთის მდგომარეობის შემსუბუქების თავისებური მცდელობა აღინიშნებოდა 1998 წელს, ადგილობრივი არჩევნების წინ. მაშინ, ზოგიერთი პოლიტიკური ძალის დიდი მეცადინეობით, დაიწყო მსჯელობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასთან ჯავახეთის მიერთებაზე და ამ ტერიტორიის საშუალებით სომხეთისათვის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შექმნაზე. ამან ჯავახეთის სომხური მოსახლეობის წარმომადგენლების ბათუმში ინტენსიური სტუმრობები გამოიწვია. მაშინ ცენტრალურმა ხელისუფლებამ სიტუაციის დარეგულირება მოახერხა. თუმცა, ბუნებრივია, ერევანი-თბილისი-სოხუმის მაგისტრალის აღდგენის საკითხი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოსათვის კვლავაც აქტუალურია. ამასვე მიუთითითებს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში გაკეთებული პირდაპირი მინიშნებები.

გაგრძელება A2 გვერდზე

თავდასხმა პარლამენტარ დიმიტრი ჯაიანზე

4 იანვარს საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრს დიმიტრი ჯაიანს საკუთარ სახლთან თავს დაესხნენ. სასტიკად ნაცემი დეპუტატი პირველი კლინიკური საავადმყოფოს ნეიროქირურგიულ განყოფილებაში მოათავსეს. ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცავები უკვე ამუშავებენ რამდენიმე ვერსიას.

თავდასხმა დაახლოებით საღამოს თეთრთმეტის ნახევარზე მოხდა - მაშინ, როცა პარლამენტარი ავტომანქანას ავტოფარეხში აყენებდა. დიმიტრი ჯაიანს სახლთან, სავარაუდოდ, ავტომატებით შეიარაღებული ორი პიროვნება დახვდა. თავდასხმას ავტომატის სამი გასროლაც მოჰყვა. ერთ-ერთი ვერსიით, ჯაიანი ფეხშია დაჭრილი, თუმცა საავადმყოფოში დაჭრის ფაქტი უარყვეს.

ამჟამად ექიმები ჯაიანის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად აფასებენ. როგორც კლინიკის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა სოსო გვაზავამ "24 საათს" განუცხადა, იარაღის კონდახით ნაცემ პარლამენტარს მიღებული

გაგრძელება A2 გვერდზე

„ნაციონალები„ და „ტრადიციონალისტები„ ერთიანდებიან!

წინასწარი ინფორმაციით, დღეს "ნაციონალები" და "ტრადიციონალისტები" გაერთიანების შესახებ განაცხადებენ. გუშინ ოფიციალური კომენტარს ამ თემაზე არც ერთი მხარე არ აკეთებდა. დღეს უნდა გახდეს ცნობილი, კონკრეტულად რას გულისხმობს გაერთიანება და მიდის თუ არა საუბარი არჩევნებში ერთიანი სიით გამოსვლაზე. "24 საათის" ხელთ არსებული ინფორმაციით, პარტიებთან ერთად, საუბარია საპარლამენტო ფრაქციების გაერთიანებაზეც. ფრაქციათა "ნაკრებს", სავარაუდოდ, აკაკი ასათიანი ჩაუდგება სათავეში.

თამარ ხორბალაძე

ახალი ალიანსის გაფორმება, ცხადია, ორმხრივი ინტერესის დაკმაყოფილებას გულისხმობს. "ნაციონალებს" "რესპუბლიკელებმა" აშკარად ვერ შესძინეს ის ელექტორატი, რომელზეც მათთან გაერთიანება იყო გათვლილი და ამ ელექტორატის მოსაზიდად დამატებითი სახეები ესაჭიროებათ. აკაკი ასათიანის და კიდევ, სავარაუდოდ, სამი "ტრადიციონალისტის" გამოჩენა "ნაციონალებს" პოლიტიკური სახეების იმ დეფიციტს შეუვსებს, რაც ერთ ლიდერზე ორიენტირებულ ძალას ჯერ კიდევ აქვს. ამასთან, ეს გაერთიანება შეარყევს მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მიხეილ სააკაშვილს უჭირს საერთო ენის გამონახვა სხვა პოლიტიკოსებთან.

ბოლო მაჟორიტარულმა არჩევნებმა აჩვენა ისიც, რომ ადგილობრივი ორგანიზაციების არსებობა აუცილებელი პირობაა რეგიონებში წარმატების მისაღწევად. ამ მხრივ "ტრადიციონალისტებს" წლების მანძილზე გარკვეული გამოცდილება დაუგროვდათ. შესაძლოა, ესეც იყოს სააკაშვილისთვის გაერთიანების ერთ-ერთი მოტივი.

თავის მხრივ, "ტრადიციონალისტები" განვლილმა არჩევნებმა დაარწმუნა, რომ მათი რესურსები და მათი ელექტორატი აშკარად არ არის საკმარისი არსებული შვიდპროცენტიანი ბარიერის დამოუკიდებლად გადასალახავად. მათ აუცილებლად ესაჭიროებათ "ლოკომოტივი", რომლის როლიც გასულ არჩევნებში წარმატებით შეასრულა "აღორძინებამ".

გაგრძელება A2 გვერდზე



აკაკი ასათიანი

მიხეილ სააკაშვილი

პოლიტიკური რევერანსის ენერგეტიკული შედეგები

მაია ურუშაძე

წინასაახალწლოდ ლეიბორისტებმა სასამართლოში სარჩელი მოიგეს და სემეკს "ეი-ი-ეს თელასისთვის" ახალი – შედარებით უფრო დაბალი ტარიფის - შემუშავება მოსთხოვეს. "ეი-ი-ეს" კორპორაციის ქართულმა ფილიალმა სასამართლოსგან უცნაური "დარტყმაც" მიიღო: მოსამართლე ზოიძემ "ეი-ი-ეს თელასს", პრაქტიკულად, ღია კარი შეუმტვრია და მოსახლეობისათვის 1999 წლამდე დახარჯული ელექტროენერგიის საფასურის მოთხოვნა აუკრძალა. 1999 წლამდე მოხმარებული დენის საფასურს "ეი-ი-ეს თელასი" არც მანამდე ითხოვდა. საკუთარ აქტივებში მას, იმთავითვე, მხოლოდ 1999 წლიდან დაგროვილი დავალიანებები ჰქონდა შეტანილი.

გაგრძელება A4 გვერდზე

ამინდი

თბილისი	12
ქუთაისი	14
ბათუმი	17
სოხუმი	14
ფოთი	16
თელავი	12
ზუგდიდი	14
გორი	9
ახმეტა	11
ჭიათურა	12
გაგრა	14
სამტრედია	14

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

აშშ დოლარი	2.1119
ევრო	2.1928
გირვანქა სტერლინგი	3.3826
რუბლი	0.0664

„ბეემვეემ„ თავისი პირველი „როლს-როისი„ გამოუშვა

მიმდინარე კვირა ისტორიულია ცნობილი გერმანული ავტომწარმოებლის, "ბეემვესათვის." "როლს-როისის" ხელში ჩაგდებიდან პირველად კომპანიამ ამ ლეგენდარული მარკის პირველი საკუთარი მოდელი წარმოადგინა – "როლს-როის ფანტომი," რომელიც 382 ათასი დოლარი ეღირება. ახალი "ფანტომი" თავისი დიზაინით "როლსის" 60-იანი წლების სახელგანთქმულ მოდელებს, "სილვა ქლაუდსა" და "სილვა გოუსთს" მოგვაგონებს. "ბეემვეს" ხელმძღვანელთა თქმით, ახალი მოდელი მსოფლიოს ყველაზე სახელგანთქმული მარკის ულტრათანამედროვე ინტერპრეტაციაა.

თორნიკე შარაშენიძე

"როლსის" მარკის ხელში ჩასაგდებად "ბეემვეს" 4-5 წლის წინ ნამდვილი ომის გადახდა მოუხდა თავის შინაურ კონკურენტ "ფოლკსვაგენთან." ეს მაშინ მოხდა, როცა "როლს-როისის" საავტომობილო განყოფილების მეპატრონე კომპანია "ვიკერსს" მობეზრდა ამ არც ისე მომგებიან ბიზნესთან ლოლიავი და მისი გაყიდვა გადაწყვიტა. ყველაზე რეალურ კანდიდატად "ბეემვე" ჩანდა – კომპანია, რომელიც "როლსებისათვის" ძრავებს ამზადებდა და, ამგვარად, მეტად მჭიდრო ურთიერთობაც აკავშირებდა ბრიტანელებთან. მაგრამ, საქმეში უეცრად "ფოლკსვაგენიც" ჩაერთო, რომელმაც "ვიკერსს" უკეთესი პირობები შესთავაზა. ბრიტანელებმა თავიდან შორს დაიჭირეს მათი წინადადება, თავიანთ ჯენტლმენობასა და ძველ პარტნიორთან მეგობრულ ურთიერთობაზე ალაპარაკდნენ, მაგრამ "ფოლკსვაგენი" თავისას არ იშლიდა და ერთ მშვენიერ დღეს ჯენტლმენებმა, სწორედ, მას დაუთმეს. ამან "ბეემვე" შოკში ჩააგდო და ინგლისის საქმიან-პოლიტიკურ წრეებშიც დიდი აღშფოთება გამოიწვია.

საბოლოოდ "ფოლკსვაგენს" მაინც არ შერჩა ნადავლი. "ბეემვე" კონტაქტზე გავიდა ავია-საინჟინრო ჯგუფ "როლს-როისთან" და მისგან

გაგრძელება A4 გვერდზე

არაოფიციალურად გახმაურებული მკვლელობის მოტივი დაუდგენელია

მართალია, სამართალდამცველები თავგამოდებით ირწმუნებიან, რომ ახალი წლის დღეებმა კრიმინალური თვალსაზრისით მშვიდად ჩაიარა, მაგრამ 2003 წლის პირველ დღეებში დაზარალებულთა რიცხვი თანდათან მატულობს. გამოდის, რომ სამართალდამცველთა ოფიციალური ინფორმაცია ამ დღეებში მომხდარი სხვადასხვა სახის დანაშაულის სიმცირის შესახებ, რეალობას ნაკლებად ასახავს.

როგორც გავარკვიეთ, ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში გაძარცულების, დაყაჩაღებულებისა და თავდასხმების მსხვერპლთა უმრავლესობას სამართალდამცველებისთვის დახმარების სათხოვნელად არ მიუმართავთ. **"რა აზრი აქვს მათ "შეწუხებას", მით უმეტეს მაშინ, როცა საახალწლო განწყობა აქვთ. ახალი წლის დღეებში ფხიზელი არავინ არის, პოლიციელები იქნებიან**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია A3 რეკლამა A4 ინფორმაცია A5 კულტურა A6 სპორტი A7 ანკეტა A8 სხვადასხვა

თავდასხმა პარლამენტარ დიმიტრი ჯაიანზე

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

აქვს თავის ტვინის შერყევა. ჯაიანს დაზიანებული აქვს სახის რბილი ქსოვილები, ხოლო ძლიერი სისხლჩაქცევის შედეგად განვითარდა ჰემატომები სახესა და თვალის ლორწოვან გარსზე. **"სახე, პრაქტიკულად, დეფორმირებულია. ჯანმრთელობის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა და დაზარალებულს ესაჭიროება მკაცრი წოლითი რეჟიმი,"** - ამბობს სოსო გვაზავა.

რაც შეეხება ვერსიებს. ერთ-ერთი წყაროს ცნობით, შეიძლება, თავდასხმის მიზეზი პირადი ანგარიშსწორება ყოფილიყო, თუმცა არ გამორიცხავენ ინციდენტის პოლიტიკურ სარჩულსაც. ამ ვერსიას ემხრობა აფხაზეთის დევნილი უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ასევე საპარლამენტო ფრაქცია "აფხაზეთის" წევრი თამაზ ნადარეიშვილიც, მაგრამ საბოლოო დასკვნისაგან იგი თავს იკავებს და გამოძიების დასრულებას ელოდება.

"ჩვენი ფრაქციის წევრებს არაერთხელ დაემუქრნენ ფიზიკური ანგარიშსწორებით. ასე რომ, შესაძლოა, ამ თავდასხმას პოლიტიკური მიზეზებიც ჰქონოდა", – გაანცხადა "24 საათთან" საუბრისას თამაზ ნადარეიშვილმა.

24 საათი

მოკლედ

თბილისი. საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის წესდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესიაზე, რომელიც 2003 წლის იანვრის ბოლოს გაიმართება, საქართველო გააპროტესტებს აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსული პასპორტების გაცემას. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

მინსკი. დსთ-ს ფარგლებში შეზღუდვების გარეშე თავისუფალი სავაჭრო ზონის წარმოქმნამ შეიძლება მიგვიყვანოს სხვა სახელმწიფოთაშორისი წარმონაქმნების და კავშირების ლიკვიდაციამდე, ისეთების, როგორიცაა სუუამ-ი და ევრაზიის ეკონომიკური თანამეგობრობა. ამის შესახებ სატელეფონო საუბრისას განაცხადეს ბელორუსისა და უკრაინის პრეზიდენტებმა ალექსანდრ ლუკაშენკომ და ლეონიდ კუჩმამ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

ზუგდიდი. ზუგდიდში განთავსებული აფხაზეთიდან დევნილები ორშაბათიდან ენგურის ხიდზე მოძრაობის გადაკეტვას აპირებენ. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. 6 იანვარს თბილისში გაიმართება საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასა და აჭარის ავტონომიას შორის საბიუჯეტო საკითხების მოსაგვარებლად სპეციალური სამთავრობათაშორისო კომისიის სხდომა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სამინისტრო რუსეთის ტრანსპორტის სამინისტროსადმი უმკაცრესი ზომების მიღებას აპირებს და ამ უწყებასთან სერიოზული კონფლიქტით იმუქრება, თუ სოხუმსა და ადლერს შორის სარკინიგზო მიმოსვლა არ გაუქმდება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

თბილისი. გალი-ტყვარჩელის ავტომაგისტრალზე წუხელ მომხდარმა ავტოკატასტროფამ ქალაქ გალის მერის ვალერი ლომიას ვაჟის სიცოცხლე იმსხვერპლა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. მომავალი საპარლამენტო არჩევნებისთვის ელექტრონული საარჩევნო სისტემის დასანერგად 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 10 მილიონი ლარის გათვალისწინების მოთხოვნით საქართველოს პარლამენტში შეგროვებული 125 დეპუტატის ხელმოწერა პრეზიდენტს გაეგზავნა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. საქართველოს პარლამენტი იანვრის შუა რიცხვებში ცენტრალური საარჩევნო კომისიის ახალი შემადგენლობის დამტკიცებას და საარჩევნო კოდექსში ცვლილებების შეტანას გეგმავს. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. სოციალისტური პარტიის ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის განცხადებით, მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრება, რასაც ხელი შეუწყო დაგეგმილი ტერაქტის შესახებ ინფორმაციის წინასწარ გახმაურებამ. **მედია-ნიუსი.**

ათი წლის წინათ დაჩოქებულ საქართველოს ახლა თავში ურტყამენ

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

სოხუმის დაცემიდან რამდენიმე საათის შემდეგ.

საქართველოს

დღემდე თბილისი მთავარ ყურადღებას პრობლემის პოლიტიკურ მოწესრიგებას უთმობდა და ამას უკავშირებდა ეკონომიკური საკითხების მოგვარებას. ძალზე ძნელია, ვივარაუდოთ, რომ საქართველოს ხელისუფლებას ზუსტად ჰქონდეს გათვლილი, რამდენად მომგებიანი იქნება საქართველოსთვის აქცენტების შეცვლა. ყოველ შემთხვევაში, ამის შესახებ ოფიციალური პირები ჯერჯერობით საჯაროდ არაფერს ამბობენ. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ შეიძლება ძალზე გაჭირდეს საერთაშორისო საზოგადოებისათვის იმის ახსნა, თუ რატომ უნდა შენარჩუნდეს ეკონომიკური სანქციები აფხაზეთის მიმართ. საქართველოს ხელისუფლებამ, მიუხედავად რამდენიმე მცდელობისა, ვერ შეძლო აფხაზეთის პრობლემის, როგორც გლობალურ საფრთხის წარმოჩენა. საუბრები იმაზე, რომ ამ ტერიტორიას თავს საერთაშორისო ტერორისტები აფარებენ, რომ იქ ალქაიდას ბაზებია განლაგებული, იმდენად სუსტად, არადამაჯერებლად მიმდინარეობდა, რომ სოხუმს მათი დეზავუირება არ გასჭირვებია.

მთავარი კი, ალბათ, მაინც ის არის, რომ ედუარდ შევარდნაძემ ათი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა კონფლიქტის მოგვარებისადმი მწყობრი და ეფექტური მიდგომის შემუშავება. აქედან გამომდინარეობს ის არათანამიმდევრული პოლიტიკაც, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს. ამის შედეგია ისიც, რომ, მიუხედავად თითქმის ყველა მიმართულებით აშკარა ჩავარდნისა, შევარდნაძე რუსეთის მიმართ მკაცრ პოზიციას ვერ იკავებს – ვერ ხერხდება გუდაუთის ბაზის საერთაშორისო ძალებით ინსპექტირება, არანაირი შედეგი არ მოაქვს ბაზების შესახებ მრავალწლიან მოლაპარაკებებს, გადაუწყვეტელია სამშვიდობო ოპერაციის ფორმატის შეცვლის საკითხიც და ა.შ. რუსეთი კი, თავის მხრივ, საქართველოზე ზეწოლისათვის არც ერთ შემთხვევას არ უშვებს ხელიდან. ძნელი წარმოსადგენი არ არის, როგორი იქნებოდა თუნდაც იგივე პუტინის რეაქცია, საქართველოს ტერიტორიიდან ჩეჩნეთში სატრანსპორტო მიმოსვლა რომ დაწყებულიყო.

რას მოიმოქმედებს ოფიციალური თბილისი შექმნილ სიტუაციაში, ალბათ, რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი. სამწუხარო მხოლოდ ის იქნება, თუ ყველაფერი ამჯერადაც ენგურის ხიდზე ტრადიციული საპროტესტო აქციის განახლებით შემოიფარგლება.

„ნაციონალები„ და „ტრადიციონალისტები„ ერთიანდებიან!

ПИРВЕЛИ ГВЕРДИДАН

"აღორძინებასთან" ურთიერთობა აკაკი ასათიანმა გასული წლის მიწურულს უკვე საბოლოოდ გაარკვია, მაგრამ მაშინ უფრო მოსალოდნელად მიიჩნეოდა "ტრადიციონალისტებისა" და "გაერთიანებული დემოკრატების" ალიანსი.

როგორც ჩანს, სააკაშვილმა "ტრადიციონალისტებს" ზოგადად, და არა მხოლოდ აკაკი ასათიანს, "გაერთიანებულ დემოკრატებზე" უკეთესი პირობები შესთავაზა.

"ნაციონალები" ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უკვე ჩიოდნენ იმაზე, რომ წინასაარჩევნოდ საკმაოდ ბევრი ბალასტი აიკიდეს, თუმცა ისიც ცხადია, რომ სააკაშვილს და მის "ნაციონალებს" დღეს გამარჯვების ერთ-ერთი ყველაზე დიდპროცენტიანი შანსი და, შესაბამისად, სიაშიც მეტი რეზერვი აქვთ. ანუ შეუძლიათ, "ტრადიციონალისტებს" სამი ან ოთხი ადგილი შესთავაზონ, რაც "ტრადიციონალისტებისთვის" აშკარად დიდი მიღწევა იქნება.

მოკლედ, ახალი წელს "ნაციონალები" და "ტრადიციონალისტები" პოლიტიკური სიურპრიზით იწყებენ. სიურპრიზია ეს გაერთიანება თუნდაც იმიტომ, რომ ამ მოძრაობების ლიდერები აშკარად განსხვავებული პოლიტიკური ტემპერამენტისანი არიან, თუმცა საარჩევნო წელს ამაზე მეტად უცნაური ალიანსების მომსწრენიც ვყოფილვართ.

საზოგადოება

მერია და პრეზიდენტის ფონდი ძველი ვალის გასტუმრებას აპირებენ

ქალაქის მერია და პრეზიდენტის ფონდი მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდს სიურპრიზს უმზადებს - 8 იანვარს ჯერ კიდევ გასული წლის სექტემბერში მისაღებ 2 მილიონ ლარს გადაურიცხავს.

ნანა ქადაგიშვილი

თბილისის ხელმძღვანელობა 4 თვის განმავლობაში ფონდს ამ თანხის გადარიცხვას თითქმის ყოველი თვის ბოლოს ჰპირდებოდა, მაგრამ გასამართლებელი მიზეზების მოძებნას ყოველთვის ახერხებდა. როგორც ფონდის ხელმძღვანელი ზურაბ გუდავაძე აცხადებს, ამჯერად პირობა რეალურად შესრულდება, რადგან თანხა უკვე გზაშია და დანიშნულების ადგილამდე ხვალ მიაღწევს.

ოთხთვიანმა ლოდინმა ამ არც თუ უხვ "საჩუქარს" ეშხი დაუკარგა, მაგრამ მიწისძვრის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეებს ცოტათი მაინც წაადგებათ. ბუნებრივია, 2 მლნ. ლარი ყველა მათგანს ვერ გასწვდება - ამ თანხით 120-130 ბინაზე მეტის შესყიდვას ვერ შეძლებენ და უსახლკაროდ დარჩენილ 520 მოქალაქესაც ვერ დააკმაყოფილებენ. ამის გარდა, ამ 2 მლნ. ლარით მიწისძვრის შედეგად დაზიანებული ბინებიც შესაკეთებელია. ოფიციალური ინფორმაციით, დეკემბრის ყინვა და თოვლი უსახლკაროდ დარჩენილმა დაზარალებულებმა მშვიდობიანად გადაიტანეს. უბედურებისგან ისინი ნათესავ-მეგობრებმა იხსნეს, მაგრამ ახლობლის ჭერქვეშ მუდამ ვერ იცხოვრებენ.

ისე, გასული წლის გამოცდილებას თუ გავითვალისწინებთ, ალბათ, კმაყოფილნი არც ის დაზარალებულები დარჩებიან, ვისაც ფონდი დაეხმარება, რადგან ფონდი ბინების შესყიდვას ისევ ძველი პრინციპით აპირებს, ანუ ბევრი - იაფად. იაფი ბინები კი დაზარალებული მოქალაქეებისთვის სასურველ უბნებში არ იშოვება. თუმცა, სხვა გამოსავალი არ არის. უსახლკაროდ დარჩენილები გარეუბნებში ნაყიდი ბინებით თუ არ დაკმაყოფილდებიან, საკუთარ თავზე ზრუნვა თვითონვე მოუწევთ, რადგან სამომავლოდ უკეთესი პერსპექტივა არ ჩანს.

ქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტის გეგმებზე დაზუსტებით საუბარი ადრეა, მაგრამ, როგორც წინასწარ ვარაუდობენ, მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებს 2003 წლის თბილისის ბიუჯეტის იმედი არ უნდა ჰქონდეთ.

ახალი წელი - ახალი სამსახური

გაერთიანება, რომელსაც სოციალურ სფეროში მთელი გასული წლის განმავლობაში ელოდნენ, შედგა. 2002 წლის ბოლო დღეს, 31 დეკემბერს, საქართველოს პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის რეორგანიზაციის შესახებ. იმავე დღეს დამტკიცდა ამ რეორგანიზაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურის დებულებაც.

მაკა ჯაიანი

სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურის გენერალურ დირექტორად სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდის დირექტორი, ირაკლი კოპლატაძე დაინიშნა, სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ - შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ამირან გამყრელიძე. სამეთვალყურეო საბჭოში შევიდნენ სოციალური დაცვის ერთიანი სახელმწიფო ფონდისა და სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოების ხელმძღვანელები - ზაზა სოფრომაძე და მერაბ ქავთარაძე. ეს უკანასკნელი, როგორც ამბობენ, თავმჯდომარის მოადგილის სტატუსით. რაც შეეხება სამედიცინო დაზღვევის სახელმწიფო კომპანიის ხელმძღვანელს, თემურ კალანდაძეს, იგი ახალი სამსახურის ერთ-ერთი განყოფილების უფროსი იქნება.

ჯერ სრულად არ არის გარკვეული, ვინ დაიკავებს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო სამსახურის გენერალური დირექტორის მოადგილეების პოსტებს. ცნობილია მხოლოდ ის, რომ ირაკლი კოპლატაძის მოადგილედ სამედიცინო დარგში ინიშნება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროგრამების დეპარტამენტის თავმჯდომარე ნატა ყაზახაშვილი. ადრე იგი დედათა და ბავშვთა დეპარტამენტს ხელმძღვანელობდა. ახალი სამსახურის დანარჩენი თანამშრომლები, როგორც სამინისტროში ამბობენ, განსაკუთრებული კონკურსის წესით არ დაინიშნებიან. რადგან საუბარი რეორგანიზაციაზეა, მოსალოდნელი შემცირებისას, ადგილების შენარჩუნებას ყველაზე გამოცდილი თანამშრომლები შეძლებენ.

დასაქმების სახელმწიფო სამსახურის ირგვლივ დატრიალებული ამბების გამეორებას - ჩაშლილ შესარჩევ კონკურსებსა და სასამართლოებში სარჩელებით სირბილს, ამ შემთხვევაში, ალბათ, არ უნდა ველოდოთ, თუმცა, წინააღმდეგობების გარეშე ეს ცვლილებაც რომ ვერ ჩაივლის ფაქტია, მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი კოპლატაძის განცხადებით, შემცირება, ძირითადად, მმართველობით, ადმინისტრაციულ და პარალელურ სტრუქტურებს შეეხება.

კადრების ოპტიმიზაციის ზუსტი სქემა, ისევე, როგორც რეორგანიზაციის დანარჩენი ნიუანსები, კვირის ბოლოსთვის იქნება ცნობილი. დამატებით, დღეს იმის თქმა შეიძლება, რომ ახალ სამსახურს განსახორციელებლად რეფორმის ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპი - პერსონიფიცირება ელოდება.

რაში ხარჯავენ ქართველები ყველაზე მეტს

ყველაზე მეტი თანხა - 100 მილიონი დოლარი საქართველოში თამბაქოს ნაწარმზე იხარჯება, მისი ატრიბუტისათვის - ასანთისა და სანთებელასათვის კი 6 მილიონი აშშ დოლარი. არანაკლებ თანხებს მოითხოვს მობილური ტელეფონები. კავშირგაბმულობის ამ საშუალებას მოსახლეობა გაცილებით მეტს ყიდულობს, ვიდრე სხვა სახის ელექტროსაქონელს. მობილური ტელეფონებისათვის მოსახლეობას წელიწადში 7 297 900 დოლარი აქვს დახარჯული, სხვა სახის ელექტროსაქონელზე კი 5 140 000 დოლარი.

ყველაზე ნაკლებად საქართველოში ტელევიზორებს ყიდულობენ. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ელექტროსაქონლის სახეობა თითქმის ყველა ოჯახშია და იქიდან გამომდინარე, რომ ტელევიზორს ექსპლუატაციის ვადა შედარებით ხანგრძლივი აქვს, მისი შეცვლის აუცილებლობა თითქმის არ არის. **კავკას-პრესი.**

სააკაშვილის იმედით

გარემოს მონიტორინგის ცენტრის უფროსის ნუგზარ ბუაჩიძის ცნობით, ბოლნისში ოქროსა და სპილენძის გადამამუშავებელი ავსტრალიური საწარმო "ბოლნისი გოლდი" მდინარეებს კაზრეთულას, მაშავერასა და მტკვარს კვლავ აბინძურებს. მდინარე კაზრეთულა ცენტრის თანამშრომლებმა უკვე ხუთჯერ შეამოწმეს, რის შედეგადაც მდინარეში ზღვრულად დასაშვები კონცენტრაცია ზოგიერთ შემთხვევაში თითქმის 10-ჯერ მეტი რაოდენობის აღმოჩნდა. ანალიზმა აჩვენა, რომ წყალი ძალიან მჟავეა, აწეულია ბიოლოგიური ელემენტების რაოდენობა, მაღალია თუთიის, აზოტის, ამონიუმის ზღვრულად დასაშვები რაოდენობა. გარდა ამისა, თანამშრომლებმა ვერ გაიკეთეს ანალიზი ორგანიკით, ვინაიდან ინფორმაცია, თუ რით ამუშავებენ საწარმოში სპილენძს, მათთვის უცნობია. თანამშრომლები ეჭვობენ, რომ ამ შემთხვევაში ანალიზი შესაძლოა საგანგაშოც კი ყოფილიყო. ბუაჩიძე ერთ კვირაში საერთო შედეგებს თბილისის მერიაში წარმოადგენს, სადაც ის საკრებულოს თავმჯდომარეს მიხეილ საკაკაშვილს შეხვდება და იმედოვნებს, რომ ამ პრობლემის მოგვარებას მხოლოდ ის შეძლებს. **კავკას-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

იყავით ხაზზე!

და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯეოსელთან ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, **VESTEL**-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და **DVD** სისტემის მაგნიტოფონები "ელიტელექტრონიქსისაგან"* **SAMSUNG**-ისა და **NOKIA**-ს ტელეფონები, ელ-გენერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:
- იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯეოსელი საქართველოში პირველი **GSM**-ოპერატორია?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით.
გამოიცნოთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარით:

- კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ჯეოსელი

დამატებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 ან 822 770 177

*ელიტელექტრონიქსის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და ალმაშენებლის 146 ბათუმი: გამსახურდიას 47, ერას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
**ერთი ზარის ღირებულებაა 0,288 ლარი

სპეციალური ფასდაკლება ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

სამართალი

არაოფიციალურად გახმაურებული მკვლელობის მოტივი დაუდგენელია

პირველი გვერდიდან

ფხიზლად? შეიძლება აქეთ მოგდონ შარი და დამნაშავედ მოგნათლონ," – ასეთია იმ დაზარალებულთა საახალწლო განწყობა, რომლებსაც აზრადაც არ მოსვლიათ, კანონდამცველებისთვის მიემართათ. მიუხედავად ამისა, ქუჩაში ფეხითა და ავტომანქანით მოსეირნეთა უპრობლემოდ დაყაჩაღება, როგორც ჩანს, წლის დასაწყისშივე მოდად დამკვიდრდა. ამ დღეებში, თავდამსხმელ ყაჩაღებს არც ოჯახებში მშვიდ, სადღესასწაულო ატმოსფეროში მყოფები დაუტოვებიათ უყურადღებოდ. თუმცა, დანაშაულთა უმრავლესობა, ჯერჯერობით, დაზარალებულთაგან ოფიციალურად არ გახმაურებულა.

"საახალწლო განწყობა არავისთვის გაგვიფუჭებია, მსუბუქი დანაშაულების ჩამდენთა მიმართ ლმობიერება გამოვიჩინეთ", – ასეთია სამართალდამცველთა საახალწლო თავმდაბლობა. საეჭვოა, კანონდამცველებმა, რომლებმაც ბოლო დღეებში მომხდარი მძიმე დანაშაულები - სისასტიკით ჩადენილი რამდენიმე მკვლელობა, თავდასხმა და ყაჩაღობა - მკაცრად გააასაიდუმლოეს, წლის დასაწყისის კრიმინალური სტატისტიკური მონაცემები მოგვიანებით მაინც გააოფიციალურონ.

"24 საათი" რამდენიმე დღის განმავლობაში ცდილობდა, გაერკვია 1 იანვარს, საღამოს საათებში ჩოლოყაშვილის ქუჩაზე მომხდარი სასტიკი მკვლელობის მიზეზები და დეტალები. თუმცა, თბილისის თითქმის ყველა რაიონის პოლიციაში გოგი მირიანაშვილის მკვლელობის ფაქტი სასტიკად უარყვეს. არადა, ახალი წლის პირველ დღესვე, სამარშრუტო ტაქსში მომხდარ მკვლელობას, სულ ცოტა, ათი ადამიანი მაინც შეესწრო. ჩხუბში გადაზრდილი შელაპარაკება სისხლისღვრით დასრულდა. დანის ძლიერი დარტყმით მძიმედ დაჭრილი გოგი მირიანაშვილი ადგილზევე გარდაიცვალა.

ჩვენი ინფორმაციით, სამართალდამცველებმა უკვე იციან ეჭვმიტანილის ვინაობა. მკვლელობის თვითმხილველმა რამდენიმე მგზავრმა იგი ფოტოსურათზე ამოიცნო. მიუხედავად იმისა, რომ სამართალდამცველებმა ვერ მიაკვლიეს შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარებულ ხვიჩა დემინაშვილს, მისი ძებნა ოფიციალურად ჯერ არ გამოცხადებულა. არადა, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ხვიჩა დემინაშვილი ადრე ჩადენილი მძიმე დანაშაულისთვის იძებნებოდა. ჯერჯერობით გაურკვეველია ეჭვმიტანილსა და მოკლულს შორის დაწყებული კამათის მიზეზიც. თვითმხილველები მკვლელობის მოტივს არ თუ ვერ აკონკრეტებენ. რაც ყველაზე მთავარია, მკვლელობის შემსწრე მგზავრები სამართალდამცველებს შეგნებულად არიდებენ თავს და გაურბიან. **"მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ჩადენისას სამარშრუტო ტაქსი თითქმის სავსე იყო მგზავრებით, მათი უმრავლესობა ჩვენების მიცემისგან თავს იკავებს. მიმდინარეობს მკვლელობაში ეჭვმიტანილი პიროვნების შესწავლა. გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, ბევრი რამის თქმის უფლება ჯერჯერობით არ გვაქვს",** – განაცხადა ჩვენთან საუბრისას ისანი-სამგორის რაიონის პროკურატურის გამომძიებელმა ზვიად ლორიამ.

"24 საათი"

დაჭრეს პარლამენტარის ვაჟი

გუშინ საღამოს მარჯანიშვილის მოედნის მახლობლად დაწყებულ ჩხუბს ერთი ადამიანის დაჭრა მოყვა. დაჭრილი აღმოჩნდა პარლამენტარ გურამ შარაძის ვაჟი გიორგი შარაძე. იგი თბილისის რესპუბლიკურ კლინიკურ საავადმყოფოში მოათავსეს.

როგორც თბილისის კრიმინალური პოლიციის უფროსმა დავით კეკუამ გვითხრა, გიორგი შარაძე დაჭრილია დანით გულ-მკერდის არეში, თუმცა ჭრილობა არც ისე მძიმეა და მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პოლიციას უკვე ჰყავს ეჭვმიტანილთა გარკვეული წრე და ვარაუდობს, რომ უახლოეს დღეებში დამნაშავეს დააკავებს.

"24 საათი"

მოკლედ

თბილისი. რუსთავში ავტოკატასტროფის შედეგად ერთი ადამიანი გარდაიცვალა და ერთი მძიმედ დაშავდა. ავტომანქანა "ნივა", რომელიც საქართველოში გაერო-ს მისიის ოფისს ეკუთვნის, ფეხით მოსიარულეებს - ვალერიან გრიგოლაშვილსა და მიხეილ პართემიშვილს შეეჯახა. 46 წლის გრიგოლაშვილი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა, ხოლო 53 წლის პართემიშვილი ამჟამად სხეულის მძიმე დაზიანებებით სარეაბილიტაციო ცენტრში იმყოფება. ავტომანქანის მძღოლი, გაერო-ს ოფისის თანამშრომელი, 25 წლის ზვიად დევდარიანი დაკავებულია. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

ქუთაისი. ზესტაფონის სატელევიზიო ანძაზე განთავსებულ ფიჭური კავშირგაბმულობის გადამცემებს შეიარაღებული პოლიციელები იცავენ. უსაფრთხოების ეს ზომა ადგილობრივი მოსახლეობის მუქარას უკავშირდება, რომელიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მასიურ გაუარესებას სწორედ "მაგთის", "ჯეოსელისა" და "მეგაკომის" გადამცემების მოქმედებას უკავშირებს და მათი აფეთქებით იმუქრება. მოსახლეობის მტკიცებით, ორ წელიწადში ანძის გარშემო, 2 კილომეტრის რადიუსში, სიმსივნით დაავადების გამო 13 ადამიანი გარდაიცვალა და იგივე ბედი კიდევ 23-ს ელის. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

თბილისი. 2003 წლიდან სასამართლოებში პროცესში მონაწილე მხარეების მიღების ახალი სისტემა ამოქმედდა, რომლის წყალობითაც სასამართლო პროცესის დაწყებამდე მოსამართლესთან რომელიმე მხარის შეხვედრა გამოირიცხება, - აცხადებს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ლადო ჭანტურია. მისივე თქმით, მოსამართლესთან მხარის შეხვედრის შესაძლებლობა იწვევს მითქმა-მოთქმას მოსამართლის კორუმპირებულობაზე, რაც ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლოა. ახალი ტიპის მისაღებები, სხვა ფუნქციებთან ერთად, სასამართლო განხილვაში მონაწილე მხარეთათვის საქმის გაცნობის ფუნქციასაც შეითავსებს. ასეთი მისაღები, წელიწადზე მეტია, უზენაეს სასამართლოში მოქმედებს და მხარეებს (ადვოკატებს, პროკურორრებს) აკრძალული აქვთ საქმესთან დაკავშირებით მოსამართლეებთან შეხვედრა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. ფინანსური პოლიცია მუშაობას მიმდინარე წლის მარტის ბოლომდე დაიწყებს, - აცხადებს ფინანსთა სამინისტროს საგანგებო ლეგიონის ხელმძღვანელი თემურ ძიძიგური. ვინაიდან საგანგებო ლეგიონის ბაზაზე შექმნილ ამ უწყებას უფლებები გაუფართოვდება და, მოკვლევასთან ერთად, საგამოძიებო მოქმედებების უფლებაც მიენიჭება, ძიძიგურის პროგნოზით, „გარკვეული ნინააღმდეგობები გამორიცხული არ არის". „ცხადია, ვილაცას არ ექნება პოზიციების დათმობის სურვილი", - აღნიშნა მან. შეგახსენებთ, რომ დღეს კონტრაბანდასთან მებრძოლი სამსახურები ფუნქციონირებს უშიშროებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში, სასაზღვრო უწყებაში; დანაშაულებრივ ფაქტზე გამოძიება კი პროკურატურის პრეროგატივაა, რის შემდეგაც საქმე სასამართლოს გადაეცემა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. გალის რაიონის მილიციის იზოლატორში კვლავ რჩება ოთხი ქართველი, რომლებიც აფხაზებმა 25 დეკემბერს გალის რაიონის ქვედა ზონის სოფლებში განხორციელებული ეგზეკუციის შედეგად დააკავეს. ამჟამად იზოლატორში იმყოფებიან: ბესიკ ბუკია, 30 წლის, ზუგდიდის რაიონის სოფელ ჭითაწყაროდან; მურთაზ მესხია, 40 წლის, ასევე ზუგდიდელი; შალვა შერვაშიძე, 32 წლის, ზუგდიდის რაიონის სოფელ წყაიადან და გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღვის მკვიდრი რამინ ჩაკაბერია. აფხაზთა თქმით, ისინი მხოლოდ გალელ ჩაკაბერიას გაათავისუფლებენ, მაგრამ ერთი პირობით - თუ მის სანაცვლოდ ქართული მხარე ორი თვის წინათ გაუჩინარებულ ვინმე მურატოვს გადასცემს, რომელიც, აფხაზთა მტკიცებით, ქართულ მხარეს მძევლად ჰყავს აყვანილი. რაც შეეხება დანარჩენ სამ ზუგდიდელს, მათ საზღვრის უკანონო გადაკვეთისთვის პასუხისგებაში მისცემენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

თბილისი. საბაჟო წესების დარღვევისა და სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე საბაჟო „ფოთის" უფროსის, ფრიდონ რუხაიას მიმართ საგანგებო ლეგიონში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა. მისთვის ბრალდების წაყენების მიზეზი გახდა დასაწყობებული კონტრაბანდული სიგარეტის შეცვლა ცემენტის ტომრებით. 340 და 400 ყუთი კონტრაბანდული სიგარეტი, საერთო წონით 13,5 ტონა, ფოთის საბაჟოზე მაკედონიიდან და ეგვიპტიდან შემოვიდა. გარკვეული ინფორმაციით, ცემენტით სიგარეტის შეცვლაში მონაწილეობდნენ იმავე საბაჟოს თანამშრომლები: ხარჩილავა, დიატჩუკი და ბენიძე, რომელთა მიმართ ასევე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. **მედია-ნიუსი**

უცხოეთი

ქალები ირანის პოლიციაშიც დაიწყებენ სამსახურს

მათ საზოგადოებაში უჩადროდ გამოჩენის უფლება აქვთ.

უახლოეს მომავალში დაახლოებით 400 საგანგებოდ შერჩეული და გაწვრთნილი ქალი თეირანის ქუჩებში დაიწყებს პატრულირებას.

1979 წლის ისლამური რევოლუციის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა იქნება, როდესაც პოლიციის აკადემიადამთავრებული ქალები წესრიგის სრულუფლებიანი დამცველები გახდებიან. ფაქტობრივად, მოჰამად ხათამის პრეზიდენტობამდე ქალებს საერთოდ აკრძალული ჰქონდათ ადმინისტრაციულ ორგანოებში მუშაობა.

მომავალი პოლიციელი ქალების წვრთნა 1999 წლიდან მიმდინარეობს. 17-იდან 23 წლამდე ახალგაზრდა გოგონებმა პოლიციის აკადემიაში სამი წელი გაატარეს, სადაც ძიუდოს, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებისა და დანაღმვის ინტენსიურ კურსებს გადიოდნენ.

აქამდე ქალები პოლიციაში, ძირითადად, კადრების განყოფილებაში მუშაობდნენ და თავიანთ მამაკაც კოლეგებს ეჭვმიტანილი ქალების გაჩხრეკაში ეხმარებოდნენ.

თუმცა, უკანასკნელ წლებში დამნაშავე ქალების რაოდენობის ზრდასთან ერთად მთავრობამ პოლიციის რიგებში მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა მიღება გადაწყვიტა, რათა დამნაშავე ქალების გაჩხრეკა და დევნა გაუადვილდეთ. ქალებს ეჭვმიტანილი კაცების წინააღმდეგაც გამოიყენებენ.

აღსანიშნავია, რომ ხელისუფლებას ყველაზე მეტად ქალი პოლიციელების ტანსაცმლის შერჩევა გაუჭირდა. ირანში მოქმედი კანონების თანახმად, ქალებმა საზოგადოებრივ ადგილებში ჩადრი უნდა ატარონ. თუმცა, გამონაკლისის სახით, ქალ პოლიციელებს ჩადრების ტარება არ მოუწევთ.

ქალი პოლიციელები სამსახურს აკადემიის დასრულებისთანავე, მარტში შეუდგებიან.

ეკონომიკა

პოლიტიკური რევერანსის ენერგეტიკული შედეგები

პირველი გვერდიდან

ლეიბორისტების სარჩელის განხილვის შედეგად საკონსტიტუციო სასამართლომ, პრაქტიკულად, არაფრისმომცემი ვერდიქტი გამოიტანა. საეჭვოა, სასამართლოს გადაწყვეტილებას მოსახლეობისათვის სასიკეთო რეალური შედეგი მოჰყვეს. სემეკმა ახალი ტარიფი პირველ მარტამდე უნდა შეიმუშაოს. გამორიცხული არ არის, რომ ახალი ტარიფი ძველისგან საერთოდ არ განხვავდებოდეს. მით უმეტეს, რომ თავად სემეკის თავმჯდომარეს ელიზბარ ერისთავს ტარიფის შემცირების იმედი არ აქვს. **"რეზერვებს ვერ ვხედავ. გამოსავალის პოვნაზე საუბარი ძნელია, სანამ "ეი-ი-ეს თელასის" წარმომადგენლებთან ერთად არ დავსხდებით და ამ საკითხს ხელახლა არ განვიხილავთ. სხვათა შორის, სასამართლო გადაწყვეტილებაში წერია - "ეთხოვოს სემეკსო", ანუ ეს ბრძანება კი არ არის, სასურველი მოქმედებაა,"** – აცხადებს ერისთავი. თავად "ეი-ი-ეს თელასში" კი, გენერალური დირექტორის იგნასიო ირიბარენის ჩამოსვლამდე, სასამართლოს გადაწყვეტილებას ოფიციალურ კომენტარს არ უკეთებენ.

თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს მთავრობა "ეი-ი-ეს" კორპორაციასთან ფრთხილ დამოკიდებულებას ინარჩუნებს, მოსალოდნელია, რომ კომპანია პოზიციებს არ შეიცვლის და დათმობებზე პრინციპულად არ წავა. ამის მიზეზი კი ის არის, რომ ამერიკული კორპორაციის საქართველოში შემოსვლა უფრო პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ვიდრე ეკონომიკური. ამიტომაც, **ასეთი** პოლიტიკური ზურგის მქონე "ეი-ი-ეს თელასს" საქართველოს ხელისუფლებასთან მკაცრი საუბარი არ უჭირს. მით უმეტეს, რომ ის 200 მილიონი დოლარი, რაც კორპორაციამ თბილისის გამრიცხველიანებაზე დახარჯა, კომპანიის ტექნიკური თუ კომერციული დანაკარგების მაჩვენებლის ნორმამდე შემცირებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. სწორედ ამ საბაბით, "ეი-ი-ეს თელასი" დღემდე წაგებიან კომპანიად თვლება და ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხელისუფლებისაგან პერიოდულად დათმობებს ითხოვს. მთავრობა კი "ეი-ი-ესს" ეთამაშება: ტარიფს აუწევს, საგადასახადო შეღავათებს გაუუქმებს, შეღავათებს აღუდგენს, ტარიფის დაკლებას სთხოვს. ამასობაში, "ეი-ი-ეს თელასი" მის ხელთ არსებული პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედებასა და მთავრობაზე ზემოქმედებას ცდლობს.

■ ■ ■

ასეთ ბერკეტად "ეი-ი-ესმა" არაერთხელ გამოიყენა საქართველოდან წასვლის მუქარა. პირველად ეს მუქარა "ეი-ი-ესის" მხრიდან 2001 წლის 11 სექტემბრისა და ამჟამად უკვე გაკოტრებული ენერგოგიგანტის, "ენრონის" აქციათა ინდექსების პირველი ვარდნის შემდეგ გაჟღერდა. მაშინ ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე "ეი-ი-ესის" აქციები მკვეთრად დაეცა და აქციონერთა კრებამ კომპანიის რამოდენიმე ფილიალის გაყიდვა განიზრახა. ქართული წილების გაყიდვაზე მაშინ საუბარი არ დაწყებულა, ვინაიდან "ეი-ი-ესის" ქართული კომპანიების მიმართ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული მნიშვნელოვანი დათმობები აქციონერებისთვის იმედისმომცემი აღმოჩნდა. მათ "ეი-ი-ესის" ქართული კომპანიები ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ და შემოსავლიან ფილიალებად აღიარეს. იმედისმომცემი იყო საქართველოს მთავრობასთან გაფორმებული ხელშეკრულებაც, რომელიც "ეი-ი-ეს" კორპორაციას ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობაში მნიშვნელოვან პრივილეგიებს ანიჭებს. მაგალითად, საგადასახადო რეჟიმის გამკაცრება "ეი-ი-ეს თელასს" უფლებას აძლევს, ტარიფის კიდევ უფრო გაზრდა მოითხოვოს. გარდა ამისა, ქართული მხარე, რომელიც "თელასის" აქციათა 25-პროცენტიანი პაკეტის მფლობელია, თავის აქტივებსაც ვერ აკონტროლებს, ვინაიდან "ეი-ი-ესი" თავის ბუღალტერიაში არავის ახედებს.

■ ■ ■

თავის დროზე, "ეი-ი-ესი" საქართველოში შვილობილი კომპანიის "ეი-ი-ეს – აბრეშუმის გზის" (AES Silk Road) მეშვეობით შემოვიდა. ეს კომპანია მოსკოვშია დაბინავებული და "ეი-ი-ესის" ინტერესებს წარმოადგენს ყაზახეთში, უკრაინასა და საქართველოში. საქართველოს მთავრობასა და "ეი-ი-ესს" შორის ურთიერთობის დაძაბვა ადრე ამ კომპანიის მენეჯერის - გარი ლევსლის საშუალებით ხმოვანდებოდა, რის შემდეგაც "ეი-ი-ესი" პერიოდულად ლიბერალურ საგადასახადო რეჟიმსა თუ განსაკუთრებულ შეღავათებს ითხოვდა. მის ამ მოთხოვნას მხარს უჭერდნენ აშშ-ს ოფიციალური სტრუქტურების წარმომადგენლებიც. ჯერ კიდევ ამ ზამთრის დადგომამდე, აშშ-ის ელჩმა რიჩარდ მაილსმა ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ "ეი-ი-ესი" საქველმოქმედო ორგანიზაცია არ არის და ის საქართველოში ფულის საკეთებლადაა ჩამოსული. სხვათა შორის, ეს განცხადება მას შემდეგ გაკეთდა, რაც "ეი-ი-ეს-ის" აქციები ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე საგრძნობლად გამყარდა.

გარდა ამისა, აშშ-ს მთავრობის მიერ კორპორაციის მხარდაჭერად შეიძლება მივიჩნიოთ ფინანსური დახმარება, რომელსაც, ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გავლით, "ეი-ი-ესი" ყოველწლიურად იღებს. ეს განსაკუთრებული ყურადღება აშკარად მეტყველებს მხარდაჭერაზე იმ კომპანიის მიმართ, რომელსაც მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვაც აკისრია.

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ "ეი-ი-ეს" კორპორაციის საქართველოში შემოსვლა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო, ხელისუფლებამ "ეი-ი-ესს" ხელშეკრულებით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პირობა დაურღვია და შეღავათიანი დაბეგვრის რეჟიმი გაუუქმა. თავიდან ეს გადაწყვეტილება "ეი-ი-ესს" არ გაუპროტესტებია, მოგვიანებით კი დენის ტარიფის გაზრდა მოითხოვა. ხელისუფლება იძულებული გახდა მისი მოთხოვნები დაეკმაყოფილებინა. "ეი-ი-ეს თელასისათვის" გაკეთებულმა ჟესტებმა საქართველოს ენერგობაზარზე არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩააყენა სხვა სადისტრიბუციო კომპანიები.

"ეი-ი-ესი" პრივილეგიებით სარგებლობს. ჩვენ საბითუმო ბაზარი ელექტროენერგიას არ გვაძლევს, როცა დენი "თბილისს სჭირდება". ამასთან, ჩვენ ელექტროენერგიის საფასურის სამოცდაათი პროცენტის ამოღებას გვთხოვენ, "ეი-ი-ეს თელასს" კი ორასი მილიონი აქვს დახარჯული თბილისის გამრიცხველიანებისთვის და 70 პროცენტიან ამოღების მაჩვენებელს დღემდე ვერ მიაღწია," – აცხადებს "საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გია ადეიშვილი. ზუსტად ასევე ეჭვიანობენ "ეი-ი-ეს თელასზე" საქართველოს ენერგობაზარზე მოქმედი სხვა დისტრიბუტორებიც. ამ ეჭვს საფუძვლად უდევს ერთი წარმატებული ექსპერიმენტიც. ის, თავის დროზე, "ეი-ი-ესი-სადმი" შევარდნაძის მიერ გაკეთებულ პოლიტიკურ რევერანსს შეეწირა. შვიდი წლის წინ ბახტრიონის ქუჩაზე ექსპერიმენტული სადისტრიბუციო კომპანია ჩამოყალიბდა. კომპანიამ საკმაოდ სწრაფად მოახერხა დაბალი ძაბვის ქსელის მოწესრიგება და მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის მოსახლეობისგან ამოღებაც თავად იკისრა. შედეგმა არ დააყოვნა. მალე ბახტრიონის ქუჩა იქცა ოაზისად, სადაც სინათლე, პრაქტიკულად, არ ქრებოდა. მაშინდელი მუნიციპალური "თელასისგან" განსხვავებით კი, ამ მცირე ექსპერიმენტული კომპანიის მიერ ამოღებული დენის საფასურის მაჩვენებლები 90 პროცენტზე ავიდა. ეს იყო ფინანსური უკუგების ბერკეტების წარმატებული მოქმედების პირველი და, სამწუხაროდ, უკანასკნელი პრეცედენტი საქართველოს ენერგეტიკაში. ექსპერიმენტი "ეი-ი-ესის" შემოსვლისთანავე დასრულდა.

■ ■ ■

როგორც ჩანს, ერთ დროს ფავორიტყოფილმა "ეი-ი-ესმა" თავისი პრივილეგიების პერმანენტული დემონსტრირებით საქართველოში ახლა უკვე ბევრი გაანაწყენა. საქმე იქამდეც მივიდა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა, ამ ერთი თვის წინ, თავის რადიოინტერვიუში განაცხადა, "ეი-ი-ესი" საქართველოსთვის ტვირთად იქცაო. სავარაუდოა, რომ პრეზიდენტის ეს სიტყვები შემთხვევით არ თქმულა. მით უმეტეს, რომ ამავე დროს მთავრობაში ალაპარაკდნენ იმ ხელშეკრულების კაბალურობაზე, რომელიც 1998 წელს გაფორმდა "ეი-ი-ესსა" და საქართველოს ხელისუფლებას შორის. გასული წლის ბოლოს სახელისუფლებო კულუარებში ინტენსიური საუბრები მიდიოდა თბილისის ენერგოსადისტრიბუციო ბაზარზე ამერიკული "ეი-ი-ესის" რუსული **"РАО ЕЭС РОССИИ"**-თი ჩანაცვლების შესახებაც. სწორედ ამ საუბრებს მოჰყვა ლეიბორისტების სარჩელი პრეზიდენტის, პარლამენტისა და სემეკის წინააღმდეგ, რომელიც შალვა ნათელაშვილის ტრიუმფით დასრულდა.

მიუხედავად ზეიმო განწყობისა, თუ ყოველვე ზემოთქმულს გავითვალისწინებთ, უკვე დღეს თამამად შეიძლება თქვას, რომ სასამართლო პროცესიც და კოლეგიის მიერ მიღებული გადაწყვეტილებაც კარგად გათამაშებული სპექტაკლი იყო. მოსამართლე ზოიძის ვერდიქტს კი არავითარი კონკრეტული შედეგი არ მოჰყვება, ვინაიდან დენის ტარიფის შეცვლა მაინც მხოლოდ "ეი-ი-ესის" ნებაზეა დამოკიდებული.

„ბეემვემ„ თავისი პირველი „როლს-როისი„ გამოუშვა

პირველი გვერდიდან

"როლსის" მარკაზე უფლებები შეისყიდა. ეს ნიშნავდა, რომ "ფოლკსვაგენს" მაშინვე უნდა დაეთმო "როლსების" წარმოება, მაგრამ "ბე-ემვემ" (ალბათ, გარკვეული საზღაურის სანაცვლოდ) მას დროებით დაუთმო მარკით სარგებლობის უფლება, რისი ვადაც 2002 წლის სექტემბერში ამოიწურა.

რამდენიმე თვეში კი, "ბეემვემ" ახალი "ფანტომიც" გამოუშვა. იგი დასავლეთ სესექსის ქარხანაში დამზადდა, რომლისთვისაც ეს პირველი "როლსი" გახლდათ. აქამდე ლეგენდარული მარკის მანქანებს ქრიუს ქარხანა უშვებდა. მაგრამ ეს უკანასკნელი "ფოლკსვაგენს" დარჩა. საქმე ისაა, რომ "ვიკერსი", "როლსის" გარდა, "ბენტლისაც" უშვებდა. "ბე-ემვემ" კი ხელში ჩაიგდო მხოლოდ "როლსის" მარკა და არა "ბენტლის."

ასე გრძელდება ლეგენდარული საავტომობილო მარკის ბედი, რომელიც 1904 წელს მოევლინა სამყაროს და პირველად მანჩესტერის ქარხანაში გამოვიდა. სახელი მას თავისი დამფუძნებლების, ფრედერიკ ჰენრი როლსისა და ჩარლზ სტიუარტ როისის მიხედვით ეწოდა. თუმცა, მას შემდეგ მარკამ უამრავი პატრონი გამოიცვალა, კომპანია კი სხვა ბიზნესსაც მოედო, კერძოდ კი საავიაციო ძრავების წარმოებას, რომელიც მალე ავტომობილებზე გაცილებით უფრო მომგებიან საქმედ იქცა და 1971 წელს საავტომობილო განყოფილება კომპანიას საერთოდ ჩამოშორდა. 1980 წლამდე "როლსი-როისის" საავტომობილო ბიზნესი ნაციონალიზებული იყო, 1980 წელს კი პრემიერ მარგარეტ ტეტჩერის პრივატიზაციის გეგმის განხორციელების ფარგლებში იგი "ვიკერსს" მიეყიდა.

ასე რომ, კომპანია "როლს-როისს" ავტომანქანა "როლს-როისთან" კარგა ხანია, საერთო აღარაფერი აქვთ. კომპანია საავიაციო ძრავებს უშვებს და საკმაო წარმატებითაც. ავტომანქანა "როლს-როისს" კი, ბრიტანეთთანაც აღარაფერი აქვს საერთო, თუკი სამშობლოს ტერიტორიაზე წარმოებას არ ჩავთვლით. ბრიტანელებს საერთოდ აღარ დარჩათ საკუთარი ავტოწარმოება და "როლსი" – მანქანა, რომლითაც მათი სამეფო ოჯახის წევრები დაბრძანდებიან – უკანასკნელი იყო, ვინც უცხოელთა ხელში აღმოჩნდა. როგორც ვთქვით, ეს მკრეხელობა "ვიკერსმა" ჩაიდინა.

ბრიტანელთა ეს გულისტკივილი "ბეემვეშიც" მშვენივრად ესმით. სწორედ ამიტომ, ბავარიული კომპანიის წარმომადგენლებმა საგანგებოდ აღნიშნეს, ახალი "ფანტომის" შიდა დეტალები ნისლიან ალბიონზე დამზადდაო, თუმცა საინჟინრო სამუშაოები მოდელისათვის მაინც გერმანიაში ჩატარებულა.

ახალი "ფანტომის" გაყიდვების 40 პროცენტი, ალბათ, ამერიკაზე მოვა, თავად ბრიტანეთი კი მისი მეორე უმსხვილესი კლიენტი იქნება.

ხუან კარლოს I – 65 წლისაა

ესპანეთის მეფის, ხუან კარლოს I-ის იუბილე დიდი ზარ-ზეიმით არასოდეს აღუნიშნავთ. ამჯერად კი მისი 65-ე დაბადების დღე განსაკუთრებით მოკრძალებულად, ვიწრო წრეში გადაიხადეს მადრიდთან, სამეფო რეზიდენცია "სარსუელაში".

ესპანელმა მონარქმა ჩათვალა, რომ დიდი დღესასწაულის მოწყობა უხერხულიც კია, სანამ ტანკერ "პრესტიჟის" წყალობით გალისიაში დატრიალებული ეკოლოგიური კატასტროფის შედეგები არ იქნება ლიკვიდირებული. მთელი ესპანეთიდან ჩასული მოხალისეები, დაქირავებული მუშები და ესპანეთის შეიარაღებული ჯარების მოსამსახურეები, რომელთაც საშობაო და საახალწლო არდადეგებზე უარი განაცხადეს, თავდადებით ეხმარებიან გალისიის მცხოვრებლებს "შავი მოქცევის" წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეფე ხუან კარლოსის გადაწყვეტილებას გაკვირვება არ გამოუწვევია. მონარქი ხომ პირველი იყო, ვინც გალისიის ტრაგედიას ქმედითად გამოეხმაურა: მან აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებს დაასწრო და ნავთობით დაფარულ სანაპიროზე გამოცხადდა, გულისყურით მოეკიდა ყველას, ვინც საკუთარი ნებით, ზოგჯერ ნიჩბის გარეშე, შიშველი ხელებით აშორებდა ნავთობს ოდესღაც თევზითა და მოლუსკებით მდიდარი სანაპიროს ქვიშასა და კლდეებს. მეფე არც მაშინ შედრკა, როცა ავტონომიური და ცენტრალური ხელისუფლების ინერტულობით გააფთრებული გალისიელების ნაწილი დემონსტრაციით შეხვდა და წამყვანი პოლიტიკოსების გადაყენება მოსთხოვა.

ესპანეთის მეფე ამ ქვეყნის შეიარაღებული ძალების მთავარსარდალიცაა, და მისი მადრიდში დაბრუნების შემდეგ გალისიაში რამდენიმე ათასი სამხედრო მოსამსახურე იქნა მივლენილი. მათ სამხედრო ტექნიკის მეშვეობით დაზარალებული მხარისთვის საგრძნობი დახმარების გაწევა შეძლეს.

ესპანელ ბურბონთა დინასტიის წარმომადგენელი, ხუან კარლოს I,

ხუან კარლოსი მეუღლესთან ერთად

საიუბილეო ფოტო

1938 წელს, 5 იანვარს, რომში დაიბადა – მაშინ მეფის ოჯახი ქვეყნიდან განდევნილი იყო. ახალგაზრდა უფლისწული საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდა: ერთის მხრივ, ის დიდ პატივს სცემდა მამას, ესპანეთის ტახტის კანონიერ მემკვიდრეს, დონ ხუანს, ბარსელონის გრაფს, რომელიც დიქტატორ ფრანკოსთვის ლიბერალური იდეების გამო მიუღებელი პიროვნება იყო და ამიტომ პორტუგალიაში ცხოვრობდა; მეორეს მხრივ, ხუან კარლოსს დიდხანს უწევდა დიქტატორის "ჩრდილში" ცხოვრება, რომელმაც, თავისი მიზნების მისაღწევად, მას ბავშვობიდან ესპანეთში ცხოვრებისა და განათლების მიღების საშუალება მისცა. ცხადია, მონარქისტები, დონ ხუანის მომხრეები, ხუან კარლოსს არ აღიარებდნენ, დემოკრატიული ძალები "ფრანკოს ქმნილებას" უნდობლობით ეკიდებოდნენ, დიქტატორის გარემოცვა კი პრინცს მეტისმეტ ლიბერალობაში სდებდა ბრალს. და მხოლოდ 1975 წელს, დიქტატორ ფრანკოს სიკვდილის შემდეგ, როცა ქვეყანა რთულ ისტორიულ გზაჯვარედინზე აღმოჩნდა, ხუან კარლოსმა დემოკრატიისა და მონარქიის აღდგენა შეძლო.

ცალკეული წრეები ახლაც აკრიტიკებენ ხოლმე. ძირითადი ბრალდება ის გახლავთ, რომ "ცისფერსისხლიანობის" მიუხედავად, მეფეს ადამიანური სისუსტეები ახასიათებს. მაგრამ ხუან კარლოს I-ს თავისი ხალხის გული უკვე მოგებული აქვს და დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის ესპანეთის ისტორიაში ყველაზე პოპულარული მეფეა – განურჩევლად იმისა, მონარქისტია თუ არა, მასზე ყოველი ესპანელი ღრმა პატივისცემით და მოწიწებით ლაპარაკობს. ამიტომ, დატრიალებული ტრაგედიის მიუხედავად, ხალხს ის არ დავიწყნია და სიყვარულით ულოცავს თავის მეფეს დაბადების დღეს.

"პიანისტის" ტრიუმფი

"ოსკარის" საზეიმო საღამომდე სულ უფრო ცოტა დრო რჩება. კინო-მოყვარულთათვის კი ლოდინის პროცესს მეტად საინტერესოს ხდის სხვადასხვა პროფესიული ასოციაციების მიერ გამოქვეყნებული რეიტინგები. ახლახან თავისი არჩევანი კინო-კრიტიკოსთა ნაციონალურმა საზოგადოებამ დააფიქსირა.

ჟიურის წევრებმა წლის საუკეთესო ფილმად რომან პოლანსკის ბოლო ნამუშევარი, ჰოლოკოსტის თემაზე შექმნილი "პიანისტი" დაასახელეს. თავად პოლანსკის საუკეთესო რეჟისორის ტიტული მიანიჭეს, სცენარის ავტორს, რონალდ ჰარვუდს – საუკეთესო სცენარისტის წოდება. მთავარი როლის შემსრულებელი ედრიენ ბროდი კი საუკეთესო მსახიობი გახდა. "პიანისტი" გახლავთ დრამა ჰოლოკოსტს გადარჩენილი ვარშაველი ებრაელი მუსიკოსის ვლადისლავ შპილმანის ცხოვრების შესახებ.

პოლანსკის სრული ტრიუმფის მიუხედავად კინო-კრიტიკოსებმა აღფრთოვანება ვერც ალფონსო კუარონის გახმაურებული ფილმის Y Tu Mama Tambien-ის მიმართ დამალეს

კადრი ფილმიდან "პიანისტი"

და ის საუკეთესო ფილმების ნუსხაში მეორე ადგილზე გაიყვანეს. კუარონის სურათსვე ერგო საუკეთესო უცხოური ფილმის ტიტული. საუკეთესო ფილმების სამეული კი პედრო ალმოდოვარის გახმაურებულმა ნამუშევარმა დახურა.

საუკეთესო მსახიობი ქალის წოდებისთვის ერთმანეთს ეცილებოდნენ მეგი გილენჰალი (ფილმიდან "მდივანი"), იზაბელ იუპერი ("პიანისტი ქალი") და დაიან ლეინი (Unfaithful), გამარჯვებაც ამ უკანასკნელს ხვდა წილად. საუკეთესო მეორეხარისხოვანი როლის შესრულებისთვის კი კრისტოფერ უოკენი დააჯილდოვეს ფილმიდან Catch Me If You Can. საუკეთესო ოპერატორული ნამუშევრისთვის კი დაჯილდოვდა ფილმი Far From Heaven.

აღსანიშნავია, რომ კინო-კრიტიკოსთა მიერ შედგენილ ნუსხაზე მართლაც ძალიან ბევრი ფილმის ბედია დამოკიდებული. ასოციაციაში გაერთიანებულია 55-მდე გაზეთისა და ჟურნალის წარმომადგენელი, რომლებიც თავიანთ ფავორიტ კინო-ნამუშევრებს ყოველ წელს ტრადიციადქცეულ საზეიმო ცერემონიალზე ავლენენ. წელს დაჯილდოების 37-ე საღამო, რომელზეც რომან პოლანსკის ფილმის ტრიუმფი შედგა, მანჰეტენზე მდიდრულ რესტორან "სარდი`ს"-ში გაიმართა. ბუნებრივია, გადამღები ჯგუფი გამარჯვებით კმაყოფილი დარჩა. თუმცა, პოლანსკი წინასწარვე შეეგუა იმ აზრსაც, რომ 2002 წლის კინემატოგრაფის ნამდვილ რჩეულს მარტში დაგეგმილი "ოსკარის" ცერემონიალი გამოავლენს. მართალია, ბევრისთვის "ოსკარის" მინიჭება არც ისე პრესტიჟული ამბავია, თუმცა, რეჟისორები იმასაც აღიარებენ, რომ ფილმის კომერციული წარმატებისთვის "ოსკარის" მოპოვება მართლაც უებარი საშუალებაა.

"ლევისის" პრიზი – მხოლოდ ამერიკელებისთვის

საახალწლო დღეებში "ლევისი" ახალ სიურპრიზს შემოგვთავაზებს. ჯინსი, რომლითაც "ლევისის" ინტერაქტიური თამაშის გამარჯვებული დაჯილდოვდება, უნიკალურია მთელ მსოფლიოში, შარვალი ოქროთი, ბრილიანტებითა და ლალის თვლებით არის მორთული და მისი ღირებულება 150 ათას დოლარს შეადგენს. იანვარში "ლევისის" კომპანია ახალ მოდელს გამოუშვებს – Levi's Type 1 Jeans, "ლევისის" უძვირფასესი ეგზემპლარი ახალი მოდელის ერთგვარი საპრეზენტაციო ნიმუში იქნება.

"ლევისის" ინტერნეტ-საიტზე - Levi.com თამაში 2 იანვარს დაიწყო. "ითამაშეთ და მოიგეთ მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული ჯინსი" – გვამცნობს სარეკლამო განცხადება და იქვე თამაშის წესებსაც განმარტავს: თამაშში მონაწილეობის მსურველებმა ინტერნეტ-საიტზე უნდა მიაგნონ "ჩამარხული" ჯინსის ადგილსამყოფელს, მაგრამ ამ ადგილსამყოფელის პოვნის უფლება რომ მოიპოვონ, საჭიროა საკვირაო შეკითხვებზე პასუხის გაცემა და მონაწილეობის მიღება ყოველკვირეულ თამაშში. თავსატეხები და კითხვები საიტზე კვირაში ერთხელ განახლდება. საბოლოო გამარჯვებული კი 28 იანვარს გამოვლინდება. "ლევისის" ორიგინალურმა იდეამ საქართველოში მცხოვრები აზარტული თამაშების მოყვარულნიც და-

"ლევისს" ყველა დროში თავისი მომხმარებელი ჰყავს

აინტერესა, მაგრამ საიტის გულდასმით დათვალიერების შემდეგ იმედები გაუცრუვდათ – "ლევისის" ინტელექტუალური გამოცანები და, შესაბამისად, ძვირფასი ქვებით მოოჭვილი უძვირფასესი ჯინსი მხოლოდ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეთათვის არის ხელმისაწვდომი.

სინემა

კინოთეატრები "რუსთაველი" და "ელისო"

„გზაჯვარედინი„

აშშ. 2002 წელი



რეჟისორი: **ტომ შედიაკი**

მთავარ როლებში: **კევინ კოსტნერი, ჯო მორტონი, რონ რიფკინი, ლინდა ჰანტი, კეტი ბეიტსი**

ამ ფილმის ნახვის შემდეგ ერთი რამის თქმა შეიძლება – კევინ კოსტნერი მართლაც დიდი მსახიობი შეიძლებოდა გამხდარიყო, მაგრამ მისმა მონაწილეობამ ყოვლად მდარე და უინტერესო ფილმებში კოსტნერის "ვარსკვლავური" რეპუტაცია კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა. იმ ფილმების სანახავად, რომლებშიც კოსტნერი მონაწილეობს, სულ უფრო და უფრო ცოტა მაყურებელი დადის. თავიდან თითქოს ყველაფერი პირიქით ჩანდა. კინოსურათების - "მგლებთან ცეკვა" და "პირადი მცველი" - შემდეგ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ მსახიობის კარიერას უკვე აღარაფერი დაემუქრებოდა, მაგრამ კევინ კოსტნერი, როგორც იტყვიან, თავით გადაეშვა ფანტასტიკური და მისტიკური ჟანრის ფილმებში, სადაც მან მწარე მარცხი განიცადა. ფილმები მისი მონაწილეობით მაყურებელს ძალიან მალე ავიწყდებოდა. განა ახლა ვინმეს ახსოვს (ერთი-ორი გამონაკლისის გარდა) სურათები: "წყლის სამყარო", ან თუნდაც "ფოსტალიონი" და იქ განვითარებული მოვლენები?! არადა, აღნიშნული ფილმების შექმნაზე ასეულობით მილიონი დოლარი დაიხარჯა.

სწორედ ასეთი "ერთდღიანი" ფილმია "გზაჯვარედინი". ამ კინოსურათში ერთი ექიმის ისტორიაა გადმოცემული, რომელსაც სადღაც ცენტრალურ ამერიკაში ტრაგიკული შემთხვევის გამო ცოლი დაეღუპა. ამის შემდეგ ექიმის გარშემო უცნაური მოვლენების მთელი ჯაჭვი განვითარდება. როგორც ძალიან მალე ირკვევა, ყველაფერში გარდაცვლილი ცოლის სულია დამნაშავე. იგი კევინ კოსტნერის გმირს დაჟინებით სთხოვს სადღაც წასვლას და რაღაცის გაკეთებას. ფილმის მთელი ინტრიგაც ეს არის – გამოიცნობს ექიმი ცოლის სურვილს თუ არა?!

თუმცა უნდა ითქვას, რომ სურათის ავტორები ცდილობენ "გზაჯვარედინს" ფილოსოფიური და რელიგიური დატვირთვაც მისცენ. განსაკუთრებით ის ფაქტია ხაზგასმული, რომ სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული არსებობას სხვა გარემოში განაგრძობს და მიწიერ სამყაროსთან კავშირს კვლავაც ინარჩუნებს. ამ ფაქტს ფილმის შემქმნელები ისეთი სერიოზულობით და დრამატულად გვაუწყებენ, გეგონება ამერიკა აღმოაჩინესო. არადა, ყველაფერი ძალიან მარტივადაა, მორწმუნე ადამიანმა ამგვარი ფილმების გარეშეც იცის, რომ სულიერი სამყარო არსებობს და გარდაცვალების შემდეგ პიროვნების არსებობა გრძელდება, ოღონდ სხვა სივრცეში თუ განზომილებაში. უკანასკნელი ათეისტი, "გზაჯვარედინის" ნახვის შემდეგ, კიდევ უფრო დარწმუნდება, რომ ღმერთი არ არსებობს, იმიტომ რომ ღმერთი რომ არსებობდეს, ასეთი ფილმების შექმნას არ დაუშვებდა...

სხვათა შორის, ინგლისურად ამ ფილმს Dragonfly ანუ "ნემსიყლაპია" ჰქვია, ქართულად კი ფილმის სახელწოდება "გზაჯვარედინად" თარგმნეს...

არჩილ მელიქიშვილი

ქალენდარი

6 იანვარი

გაღატაკებული პასტორის, შლიმანის ვაჟმა შვიდი წლის ასაკში ნახატებიანი წიგნი ნახა. ამ წიგნში ტროას ამბავი იყო მოყოლილი. ბიჭმა მაშინათვე გადაწყვიტა, რომ ჰომეროსის მიერ გადმოცემული ისტორია სინამდვილე იყო და არა ფანტაზიის ნაყოფი, როგორც უფროსები უმტკიცებდნენ.

ახალგაზრდობაში ჰაინრიხ შლიმანს უამრავი თავგადასავალი გადახდა. ცოდნას მოწყურებულმა მოყვარულმა არქეოლოგმა 10-ზე მეტი უცხო ენა შეისწავლა, მათ შორის რუსულიც.

ეს უკანასკნელი გარემოება მის ცხოვრებაში გადამწყვეტი აღმოჩნდა: ჰოლანდიურმა სავაჭრო ფირმამ ენერგიული ახალგაზრდა რუსეთში თავის აგენტად მიავლინა. აქ შლიმანმა საკუთარი საქმე წამოიწყო და ვაჭრობის წყალობით დიდძალი ქონება შეიძინა (ამას გარკვეულწილად ყირიმის ომმაც შეუწყო ხელი). ეს ფული შლიმანს თავისი დიდი მიზნის მისაღწევად სჭირდებოდა.

50-იან წლებში შლიმანი ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრა და იქ ამერიკის მოქალაქეც გახდა. რუსეთში დაბრუნებულმა კომერციული საქმიანობა შეწყვიტა და მთელი თავისი ენერგია და ფული არქეოლოგიის შესწავლას მიუძღვნა.

ჰაინრიხ შლიმანის ცხოვრების მთავარი მიზანი მაინც ლეგენდარული ტროას აღმოჩენა იყო. 1869 წელს მან განაცხადა, რომ ტროას ადგილსამყოფელი მცირე აზიაში გისსარლიკის ბორცვი უნდა ყოფილიყო. რამდენიმე ექსპედიციამ და ჩატარებულმა გათხრებმა შლიმანის ჰიპოთეზა დაადასტურა, და დღეს სწორედ მისი წყალობით ვიცით, რომ ჰომეროსის ეპოსი ისტორიულ ფაქტებზეა დამყარებული.

შლიმანი ყოველთვის იმეორებდა ხოლმე: "იმისთვის, რომ ცხოვრება საინტერესო და სისხლსავსე იყოს, სანუკვარი ოცნების ასრულების უნდა გწამდეს."

ტროას აღმომჩენი, გერმანელი არქეოლოგი **ჰაინრიხ შლიმანი** 1822 წლის 6 იანვარს დაიბადა.

ინფორმაცია

შავების გარჩევა

გუშინ საბოლოოდ გაცხადდა იმ ხუთი ქვეყნის ვინაობა, რომლებიც მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლობისთვის შეეცილებიან ერთმანეთს. ესენი არიან მაროკო, ტუნისი, ლიბია, ეგვიპტე და სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა.

ის, რომ 2010 წლის ჩემპიონატი აფრიკაში გაიმართება: წინასწარ არის ცნობილი. ფიფას სათავეში ბლატერის მოსვლამდე ტურნირის მასპინძელი ქვეყანა უსისტემოდ ირჩეოდა. ახლა ყველაფერი წესიერად ხდება ანუ ყველა კონტინენტმა იცის, როდის მიეცემა მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლობის საშუალება.

შავ კონტინენტს ასეთი რანგის ტურნირისთვის არასდროს უმასპინძლია, თუმცა მაროკო ორჯერ იყო მასპინძლობის კანდიდატთა შორის. მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის მასპინძლის ვინაობა 2004 წელს გაირკვევა. მანამდე კი მასპინძლობის მსურველებმა ფეხბურთის მმართველ ორგანოს ტურნირის ჩატარების გეგმა უნდა წარუდგინონ.

სპეციალისტთა პროგნოზით, მასპინძლობის ყველაზე დიდი შანსი სამხრეთ აფრიკელებს აქვთ. მათ უპირატესობას სხვებთან შედარებით ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს. თუმცა არც დანარჩენები არიან უიმედოდ. საქმე ისაა, რომ ოთხივე მათგანი ერთმანეთთან საკმაოდ ახლოს არიან განლაგებული და FIFA-მ შესაძლოა 2002 წლის ვარიანტი გაიმეოროს ანუ მასპინძლობა, მოსალოდნელია, ერთდროულად ორ ქვეყანას ერგოს.

ყველა შემთხვევაში, მასპინძლის არჩევამდე დიდი დროა, რომლის განმავლობაშიც, შესაძლოა კანდიდატთა ძალთა თანაფარდობა შეიცვალოს და ფავორიტად არა სამხრეთ აფრიკა, არამედ სადღეისოდ ყველაზე ნაკლები შანსის მქონე ლიბია მოგვევლინოს.

მაკლარენს წინ რთული თვე ელოდება

საახალწლო არდადეგები დასასრულს უახლოვდება და ფორმულა 1-ის გუნდები თავის პილოტებთან ერთად მანქანების დახვეწა-განვითარებისთვის სერიოზულ სამუშაოებს შეუდგებიან. გრან-პრის სერიები უახლოეს მომავალში იწყება. მომავალ კვირაში რამდენიმე ტრასაზე მანქანების ტესტური შემოწმება გაიმართება. ესპანეთში ეს პროცესი ხერესსა და ბარსელონაში ჩატარდება.

West McLaren Mercedes-ის დაგეგმილი პროგრამის ინტენსიობა უაღრესად მაღალი იქნება, რადგან ამას გუნდის მიერ წლევანდელი სეზონისთვის დასახული ამოცანები ითხოვს - კერძოდ, დაეწიოს და გადაასწროს Williams-ს და ფორმულა 1-ის მოქმედ ჩემპიონთან, იტალიურ "ფერარისთან" დისტანცია შეამციროს.

"ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, Williams-ს "ფერარის" ყველაზე სერიოზული კონკურენტის იმიჯი ჩამოვართვათ. უკანასკნელ ორ რბოლაში Williams-ზე ადრე გადავკვეთეთ ფინიშის ხაზი. ახლა კი შანსი გვაქვს, პრაქტიკულად გამოვცადოთ რაღაც სიახლეები, რამაც ჩვენი ბოლიდის განვითარების საქმეში პოზიტიური ძვრები უნდა დაადასტუროს," - განაცხადა დევიდ კულტჰარდმა. იანვრის ტესტებს ჩაატარებენ West McLaren Mercedes-ის ორივე მოქმედი პილოტი და ტესტ-პილოტი, ალექს ვურცი.

მოკლედ

ჩოგბურთი. რუსმა ჩოგბურთელმა, ანა კურნიკოვამ ორი დღის წინ სიდნეიში თავისი სპონსორის, Adidas-ის მაღაზია გახსნა. მაღაზიის გახსნას, დაახლოებით, 2000 ადამიანი დაესწრო, რა თქმა უნდა, უმეტესობა - კურნიკოვას თაყვანისმცემელი. გუშინვე სიდნეიში დაიწყო საჩოგბურთო ტურნირი "Adidas International", რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიო ჩოგბურთის ვარსკვლავები.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. ოთხი თვის იძულებითი დასვენების შემდეგ მოედანზე დაბრუნებულმა როი კინმა მორიგი ტრავმა მიიღო. "პორტსმუთის" წინააღმდეგ მატჩში, რომელიც "მანჩესტერის" გამარჯვებით დასრულდა, კინმა ფეხი იტკინა და გაურკვეველი ვადით დაემშვიდობა ფეხბურთს.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველი, ალექსანდრე რეხვიაშვილი, რომელიც რიგის "სკონტოს" ღირსებას იცავდა, მოსკოვის "ტორპედო-ზილთან" ერთად თურქეთში გაემგზავრა შეკრებაზე. ამის შესახებ გუშინ კლუბის მენეჯერმა, იური ბელოუსმა გააკეთა განცხადება. მისი თქმით, რეხვიაშვილთან ერთად თურქეთში კიდევ რამდენიმე ახალწვეული გაემგზავრა, რომელთა გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი იანვრის ბოლოს გაირკვევა.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. სერჯიო კრანიოტის წასვლის შემდეგ "უთავოდ" დარჩენილ რომის "ლაციოს" ახალი პრეზიდენტი ჰყავს. კრანიოტის დროს იურისტად მომუშავე უგო ლონგო მანამდე უხელმძღვანელებს რომაელებს, ვიდრე ახალი პრეზიდენტი არ აირჩევა.

▪ ▪ ▪

ფეხბურთი. "ბირმინგემის" შემდეგ ინგლისის "ლიდსის" ფორვარდის, ლი ბოიერის შეძენის სურვილი ლონდონის "ვესტ ჰემმაც" გამოთქვა. გუშინ კლუბის ხელმძღვანელობამ ამის შესახებ ოფიციალურად განაცხადა. 26 წლის ბოიერი ლონდონელთა მწვრთნელს, გლენ როდერს ადრეც მოსდიოდა თვალში, ახლა კი, როცა იორკშირელები, ფინანსური კრიზისის გამო, რამდენიმე ფეხბურთელს ელევიან, როდერმა ოცნების ასრულება და ფორვარდის ყიდვა გადაწყვიტა.

მურთაზ ხურცილავა - 60

საუკუნის მცველი

დემიკო ლოლაძე

არიან ადამიანები, რომლებიც მთელ ცხოვრებისეულ ძალას თავისი ქვეყნის კეთილდღეობასა და ხალხის სიხარულს ახმარენ. სწორედ ასეთ პიროვნებათა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი ფეხბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი, ყოფილი საბჭოთა კავშირის ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" კაპიტანი, მურთაზ ხურცილავა, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება მსოფლიო არენაზე ქართული ფეხბურთის ღირსეულად წარმოჩენას მოანდომა.

ვინ მოთვლის, რამდენი ლამაზი წუთი უჩუქებია მას ქომაგთათვის. მურთაზ ხურცილავამ კარგად იცოდა, თბილისის "დინამოს" წარმატება ეროვნული სიამაყისა და საყოველთაო სიხარულის დიდი ნაწილი რომ იყო.

1982 წელს რუსულმა გაზეთმა "ტრუდმა" მოაწყო საინტერესო გამოკითხვა - "სიმბოლური ნაკრები ბოლო 60 წლის განმავლობაში". გამოკითხვის მრავალმა მონაწილემ დაასახელა მხოლოდ მოსკოვისა და თბილისის გუნდების სხვადასხვა წლების ფეხბურთის ოსტატები, რომელთა შორისაც კიდევ ორ ქართველ ფეხბურთელთან (ჩივაძე და ყიფიანი) ერთად დასახელებული იყო ჩვენი წერილის გმირიც.

ხურცილავა თამაშისას ისეთივე მოწესრიგებული იყო, როგორც ცხოვრებაში (დღესაც არ ეკარება ალკოჰოლსა და თამბაქოს). მკაცრად, გამოკვეთილად თამაშობდა - სხვანაირად არც შეეძლო, იგი ხომ მცველი იყო! უხეშობასა და თავხედობას ვერ იტანდა. როცა ვინმე უხეშობდა, იღრუბლებოდა, სახე ეცვლებოდა, თითქოს ფიზიკურ ტკივილს მოცელილ მოთამაშესთან ერთად განიცდიდა. თუ პარტნიორი წრეს გადავიდოდა და წაიუხეშებდა, ძლიერად მოქაჩავდა და ამით სხვებსაც ჭკუას ასწავლიდა...

მიხაილ იაკუშინმა ხურცილავას უწოდა ის სტოპერი, რომელმაც გაუსწრო თავის დროს.

იგი დღესაც მცველის ეტალონად შეიძლება ჩაითვალოსო,- ამბობს საშა ჩივაძე.

ცნობილ საფეხბურთო სტატისტიკოსს, დიდი რუსი პოეტის, სერგეი ესენინის ვაჟს - კონსტანტინე ესენინს ხურცილავა სსრ კავშირის ნაკრების ჭეშმარიტ ლიდერად, წინამძღოლად, გუნდის აკუმულატორად მიაჩნდა. ამ სიტყვების დამადასტურებლად 1968 წელს უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდებთან შეხვედრებიც კმარა, სადაც მისმა ენერგიამ, ტემპერამენტმა და მხნეობამ მთელ გუნდს შთაბერა სული.

ერთხელ ინგლისის ნაკრების მწვრთნელს, სერ ალფ რამსეის ჟურნალისტებმა სთხოვეს, დაესახელებინა მსოფლიოს სამი საუკეთესო ფეხბურთელი. მან უყოყმანოდ დაასახელა პელე, საბჭოთა გუნდის მე-5 ნომერი - "არაჩვეულებრივი მცველი ხურცილავა" და იტალიელი ჯანი რივერა. რამსეიმ რამდენიმე წლის შემდეგ საბჭოთა ფეხბურთელების დახასიათებისას გაიმეორა, რომ მაღალი აზრისაა ხურცილავაზე, როგორც მძლავრ და უმაღლესი კლასის მოთამაშეზე.

1963 წელს ბრაზილიის "ფლამენგოს" პრეზიდენტმა, შემდგომში კი FIFA-ს თავკაცმა, ბატონმა ჟოაო აველანჟმა ხურცილავას ერთი წლით ბრაზილიაში დატოვება ისურვა.

ფეხბურთის უბრწყინვალესმა ოსტატმა საბჭოთა ნაკრებში 74-ჯერ ითამაშა და 7 ბურთი გაიტანა; სსრკ პირველობაზე 302 მატჩი ჩაატარა და 15 ბურთი აქვს გატანილი; სსრკ ჩემპიონატების ხუთი ბრინჯაოს მედლის მფლობელია; იგი ათჯერ იყო დასახელებული 33 საუკეთესო ფეხბურთელთა სიაში, აქედან ექვსჯერ - პირველ ნომრად. მურთაზი ერთადერთი ქართველი ფეხბურთელია, რომელსაც მსოფლიო ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი აქვს მიღებული. მის მკერდს ამშვენებს მიუნჰენის XX ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოსა და ბელგიაში 1972 წელს გამართული ევროპის პირველობის ვერცხლის მედალი.

ცხადია, ეს ჯილდოები არ შეიძლება ჩაითვალოს იმ ოქროს მედლის კომპენსაციად, ურომლისოდაც იგი 1964 წლის სსრკ ჩემპიონატის შემდეგ დარჩა. გულდასაწყვეტია, რომ დინამოელთა იმ თაობის ერთ-ერთი უნიჭიერესი წარმომადგენელი ჩემპიონი ვერ გახდა, თუმცა უთუოდ ღირსი იყო.

ხურცილავა 1967-1968 წლებში დასახელებული იყო საბჭოთა კავშირის №2, 1972 წელს №3 ფეხბურთელად, თუმცა, პარადოქსია, რომ ჟურნალისტებმა იგი არ აღიარეს სეზონის საუკეთესო მოთამაშედ.

ხურცილავა ერთ-ერთი იყო "დინამოს" იმ შემადგენლობაში, რომელმაც თანდათანობით შეამზადა საფუძველი დიდი ევროპული წარმატებისათვის, ევროპის თასების მფლობელთა თასის მოსაპოვებლად. ხურცილავა გახლდათ ის ფეხბურთელი, რომელიც აერთიანებდა ფიზიკურ სიძლიერეს, სპორტულ ოსტატობას და უდიდეს ინტელექტს, რაც განაპირობებდა კიდეც ბრწყინვალე გამარჯვებებს უმაღლესი რანგის მატჩებში - თითოეული მათგანი არა მხოლოდ დიდი საფეხბურთო სპექტაკლი, არამედ ასეულ-ათასობით მაყურებლის დაგუბებული ემოციების ელვარე ფეიერვერკიც იყო.

თხუთმეტი წელი გაატარა მურთაზმა თბილისის "დინამოში", აქ ჩამოყალიბდა დიდ ფეხბურთელად, სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში და საფეხბურთო დიდების ზენიტში მყოფმა დატოვა მშობლიური კლუბი, თუმცა - გულდაწყვეტილმა და საკმაოდ დრამატულად.

ფასდაუდებელია ხურცილავას დამსახურება ფეხბურთის განვითარებაში. ყოფილი საბჭოთა ნაკრებისა და თბილისის "დინამოს" ისტორიაში იგი ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო ფეხბურთელი გახლდათ. მან ბრწყინვალედ განვლო გზა სპორტსმენისა, რომელიც მწვანე მინდორზე საგმირო საქმეებისთვის გამოდიოდა.

1998 წელს მ. ხურცილავა დასახელებულ იქნა საქართველოს ყველა დროის საუკეთესო ხუთ ფეხბურთელს შორის და იგი აღიარეს საუკუნის მცველად.

ხურცილავა თავისი ვირტუოზული, მაღალტექნიკური და თავგანწირული თამაშით ყველას აღელვებდა. მისი დამსახურება ოქროს ასოებით აღინიშნება ჩვენი სპორტის ისტორიაში.

საიუბილეო საღამო

მიხეილ აბაიშვილი

ყველა ქართველისთვის საყვარელ ფეხბურთელს, თბილისის "დინამოს" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ კაპიტანს, მსოფლიოს ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო მცველს, მურთაზ ხურცილავას გუშინ დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა.

ლევან ხერგიანი - ფოტო

მურთაზ ხურცილავა შვილიშვილებთან ერთად

ამ საიუბილეო თარიღის აღსანიშნავ საზეიმო ბანკეტს, რომლის ორგანიზატორიც საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და მისი პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია იყო, სადღესასწაულო-გასართობმა კომპლექსმა "ბერიკონმა" უმასპინძლა. ბატონ მურთაზს იუბილე მთელმა საფეხბურთო და სპორტულმა ელიტამ მიულოცა. საზეიმო სუფრას, ქართული წეს-ჩვეულებების მიხედვით, მსახიობი ბორის წიფურია წარუძღვა.

საქართველოს პრეზიდენტმა საგანგებო დადგენილებით გამოხატა ხელისუფლების მადლიერება მურთაზ ხურცილავას მიმართ. დადგენილების მიხედვით, "ქართული ფეხბურთის განვითარების საქმეში შეტანილი განსაკუთრებული ღვაწლისთვის" ბატონი მურთაზი ვახტანგ გორგასლის მეორე ხარისხის ორდენით დააჯილდოვეს. თუმცა, ეს ორდენი იუბილარისთვის გუშინ არ გადაუცია, რადგან, თურმე, საქართველოს პრეზიდენტს პირადად სურს ამ საპატიო მისიის შესრულება. კიდევ ერთი ორდენი, რომელიც გუშინვე გადაეცა მურთაზ ხურცილავას, "ბერიკონში" საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, ჯანო ბაგრატიონმა მოიტანა: სეოკ-ის აღმასკომის გადაწყვეტილებით, ღვაწლმოსილი ფეხბურთელი ოლიმპიური ორდენით დაჯილდოვდა. რაღა თქმა უნდა, "დინამომაც" არ დაივიწყა ამ გუნდის ისტორიის შექმნაში დიდი წვლილის შემტანი ფეხბურთელი. კლუბის აღმასრულებელმა და მმართველმა დირექტორებმა, გია ფირცხალავამ და დავით პეტრიაშვილმა ხურცილავას 60-ნომრიანი "დინამოს" მაისური, სრული სპორტული ეკიპირება და ოქროს სამაჯური აჩუქეს, რომელზეც ამოტვიფრულია "მურთაზ ხურცილავა - 60".

ასევე, ბატონმა მურთაზმა მისალოცი დეპეშა მიიღო "დინამოს" ხორვატი მთავარი მწვრთნელისგან, ივო შუშაკისგან, რომელიც ამჟამად სამშობლოში იმყოფება. იუბილარისთვის კარგი განწყობის შესაქმნელად სპორტსაზოგადოება "დინამოს" რესპუბლიკურმა საბჭომაც იზრუნა. მისმა პრეზიდენტმა, საქართველოს შს მინისტრმა, კობა ნარჩემაშვილმა ფეხბურთელს საპატიო სიგელთან ერთად 1000 ლარიც გადასცა.

ფეხბურთი

კონტინენტების ბრძოლა გრძელდება

ჰაატა თოთაძე

მომავალ მსოფლიო ჩემპიონატზე სამხრეთამერიკელებისთვის ხუთის ნაცვლად ოთხი საგზურის გამოყოფის თაობაზე FIFA-ს გადაწყვეტილებამ ამ კონტინენტის საფეხბურთო კონფედერაციის (CONMEBOL) დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ისინი ყველანაირად ცდილობენ, მსოფლიო ფეხბურთის მმართველთ გადაწყვეტილება შეაცვლევინონ.

აქამდე სამხრეთ ამერიკას მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური ეტაპის ოთხი საგზური ერგებოდა. ამასთან, სამხრეთ ამერიკის შესარჩევ ზონაში მეხუთე ადგილზე გასულ გუნდს უფლება ჰქონდა, ოკეანეთის ზონის წარმომადგენელთან ორრაუნდიან დაპირისპირებაში გაერკვია დამატებითი საგზურის ბედი. ახლა მათ ასეთი შესაძლებლობა მოესპოთ. უკმაყოფილო სამხრეთამერიკელები არ აღიარებენ ფიფა-ს აღმასკომის გადაწყვეტილებას. ჯერჯერობით გაურკვეველია, რა ზომებს მიმართავენ სამხრეთელები ვითარების გამოსასწორებლად. CONMEBOL-ის პრეზიდენტის, ნიკოლას ლეოსის თქმით, არაა გამორიცხული, კონფედერაციის წევრმა ქვეყნებმა ტურნირში მონაწილეობაზე უარი განაცხადონ: "უსამართლობაა კონფედერაციას, რომელმაც გამართული 17 ჩემპიონატიდან 9 მოიგო, მხოლოდ ოთხი ადგილი გამოუყო მაშინ, როცა აფრიკელებს ტურნირზე ხუთი გუნდის გამოყვანის საშუალება ეძლევათ. ევროპის ხარჯზე ერთი ადგილი მოემატა აზიასაც. ვერ გამიგია, რატომ უნდა დავიჩაგროთ ჩვენ და ევროპელები - ყველაზე დიდი საფეხბურთო ტრადიციების მქონე ქვეყნები? არ მინდა, მდგომარეობა დავძაბო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ჩვენ ტურნირში მონაწილეობის საკითხის განხილვას დავიწყებთ".

ევროპელთა ხსენიება შემთხვევითი არ ყოფილა. FIFA-ს გადაწყვეტილებით, ბებერი კონტინენტის წარმომადგენლებიც უკმაყოფილონი არიან. ვითარებას ისიც ართულებს, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ მსოფლიო ჩემპიონსაც შესარჩევი ტურნირის გავლა მოუწევს, რაც ამ კონტინენტის წარმომადგენლის პირველობის შემთხვევაშიც არ იძლევა დამატებითი ადგილის მოპოვების საშუალებას. უკმაყოფილებას იწვევს ის ფაქტიც, რომ აზიის გუნდი დამატებით ადგილს ჩრდილოეთ ამერიკის წარმომადგენელთან გაითამაშებს. ლეოსმა FIFA-ს გადაწყვეტილების ალტერნატივად გადათამაშებაში ევროპისა და სამხრეთ ამერიკის წარმომადგენლთა ჩართვაც მოითხოვა, რასაც, სავარაუდოდ, ევროპელებიც დაუჭერენ მხარს. "ვფიქრობ, დამატებითი საგზური აზიელებთან და ჩრდილოამერიკელებთან ერთად ევროპელებმა და ჩვენც უნდა გავითამაშოთ. ჩემი აზრით, საუკეთესო ვარიანტი მინი ტურნირის მოწყობაა, რომლის გამარჯვებულიც მსოფლიო ჩემპიონატზე მონაწილეობის უფლებას მიიღებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენც და ევროპელებსაც იმ ერთი ადგილის შევსების საშუალება გვეძლევა, რომელიც ცოტა ხნის წინ წაგვართვეს", - ნათქვამია ლეოსის მიერ გაკეთებულ განცხადებაში.

საკითხის განხილვა FIFA-მ მარტისთვის გადადო. ნებისმიერ შემთხვევაში პრობლემა 2003 წლის ბოლომდე უნდა გადაწყდეს, რადგან მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი 2004 წლის თებერვალში უნდა დაიწყოს.

ხორხე ვალდანო: "უახლოეს ხანებში არავის შეძენას არ ვაპირებთ"

გასულ წელს "საუკუნის კლუბად" წოდებულმა მადრიდის "რეალმა" 100 წლის იუბილე იზეიმა. რამდენიმე დღის წინ გუნდის გენერალურმა დირექტორმა, ხორხე ვალდანომ ინტერვიუ მისცა ცნობილ ესპანურ სპორტულ გაზეთ "Marca"-ს, სადაც ის "რეალის" პრობლემებზე და მომავალ გეგმებზე საუბრობს.

ხორხე ვალდანო

- როგორ შეაფასებთ გასულ წელს, როგორი იყო ის "რეალისთვის"?

- ეს იყო რთული, მაგრამ კარგი წელი. რთული იმიტომ, რომ ხშირ შემთხვევაში კომპრომისზე წასვლა გვიხდებოდა, დიდი ზეწოლის ქვეშ ვმუშაობდით. კარგი კი ის იყო, რომ გუნდი დიდებულ ფეხბურთს თამაშობს. ასეც უნდა იყოს, ეს ხომ მადრიდის "რეალია". მნიშვნელოვანია ისიც, რომ მსოფლიოს საკლუბო ფეხბურთის ლიდერად გვაღიარეს.

- ალბათ, არ უნდა გაკმაყოფილებდეთ ის, რომ "რეალი" ევროპაში და მსოფლიოში დომინირებს, ესპანეთში კი - არა.

- დომინირება "რეალისთვის" გამარჯვებებს ნიშნავს, მაგრამ გასულ სეზონში ყველაფრის მოგება ვერ შევძელით. ვფიქრობ, ეს იმით უნდა ავხსნათ, რომ, ესპანეთის ჩემპიონატის პარალელურად, ჩემპიონთა ლიგაში, ამხანაგურ თამაშებში და კიდევ სხვა მატჩებშიც ვიღებდით მონაწილეობას.

- აპირებთ თუ არა ამ ზამთარში ახალი ფეხბურთელების შეძენას?

- არა. უახლოეს ხანებში არავის შეძენას არ ვაპირებთ. ჩვენი მიზანია, კლუბში ეკონომიურად სტაბილური მდგომარეობა იყოს. ამისათვის კი ყველაფრის სწორად გათვლაა საჭირო.

- არ გეჩვენებათ, რომ თქვენს გუნდში თავდამსხმელების რაოდენობა ბევრად აღემატება მცველებისას?

- ერთადერთი, რისი თქმაც შემიძლია, ისაა, რომ ერთი თავდამსხმელი უნდა გავყიდოთ. მწყობრში ჩადგა ელგერა. ის მაღალი დონის და დიდი ტალანტის მქონე მოთამაშეა. კარგ ფორმაშია პავონიც. თავის გამოჩენა ჯერჯერობით ვერ შეძლო რუბენმა, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ მისგან კარგი ფეხბურთელი დადგება. რაც შეეხება იეროს, ის გუნდის ხელშეუხებელი ლიდერია - მოედანზეც და მის გარეთაც. ჩვენ ისიც ვიცით, რომ დიდ რისკზე წასვლის უფლება არ გვაქვს. თუმცა, უნდა ითქვას, რომ თუ ფეხბურთელი კლუბის მოთხოვნებს ვერ ასრულებს, რაც უნდა ნიჭიერი იყოს, მაინც ტრანსფერზე დავაყენებთ.

- გაღელვებთ ჩემპიონთა ლიგაში "რეალის" მდგომარეობა?

- ჩვენი შემადგენლობა საკმარისად კარგად არის დაკომპლექტებული, რომ ჩემპიონთა ლიგაში წარმატებით იასპარეზოს, მაგრამ ამისათვის ფეხბურთელთა მხრიდან მაღალი თვითშეგნებაა საჭირო. ეს მათ ყოველი მატჩისას უნდა ახსოვდეთ. ცხადია, კლუბშიც არის ის მღელვარება, რაც - გულშემატკივრებს შორის.

- როგორ ფიქრობთ, რატომ თამაშობს "რეალი" ესპანეთის ჩემპიონატის გასვლით მატჩებში უკეთ, ვიდრე "სანტიაგო ბერნაბეუზე"?

- ფეხბურთის გაანალიზებისას ყოველთვის ვაწყდებით არალოგიკურ ფაქტებს. იყო წლები, როდესაც "რეალი" ყველა საშინაო მატჩს იგებდა, და ჩვენც თავდაჯერებულები ვიყავით. უკანასკნელ წელს კი ამ მხრივ პრობლემები გაჩნდა. ჩვენ გამუდმებით ვუტევთ, ბურთის ფლობის მხრივ ყოველთვის უპირატესობა გვაქვს, მაგრამ ზოგჯერ წარმატებას ვერ ვაღწევთ. ეს არანორმალური და არალოგიკურია.

- რაც შეეხება რონალდოს, მის პირად ცხოვრებაზე მეტს საუბრობენ, ვიდრე იმაზე, თუ როგორ თამაშობს ის ფეხბურთს. თქვენ როგორ აფასებთ ამას?

- "ოქროს ბუცი", "ოქროს ბურთი", "ტოიოტა", რომელიც მას იოკოჰამაში გადასცეს... მთელი ეს მიღწევები რონალდოს მიმართ დამატებით ინტერესს აღძრავს. მაღელვებს ის, რომ რონალდოს შესახებ ინფორმაციები ხშირ შემთხვევაში შუამავლების მეშვეობით ვრცელდება და ინფორმაციულ ბუმს იწვევს. მაგრამ მიხარია, რომ რონალდო ყოველდღიურად უკეთეს ფეხბურთს აჩვენებს.

- როგორ არის ტრავმირებული იეროს საქმე?

- ისევე, როგორც აქამდე იყო. მის მომავალზე უახლოეს მომავალში ვისაუბრებთ. "რეალში" იეროს მომავალი მის ტრავმაზე არაა დამოკიდებული. არასოდეს გვავიწყდება, რომ ეს ფეხბურთელი ძალიან მნიშვნელოვანია კლუბისთვის. ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ იერო "რეალში" დარჩეს.

- დელ ბოსკეს მომავალზე რას იტყვით?

- ამ თემაზე გაზაფხულზე ვილაპარაკებთ. თუ ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ არ შევიძინოთ ფეხბურთელები, არც სხვა გარდაქმნებზე გვჭირდება საუბარი.

- "ოქროს ბურთი" რონალდოს გადასცეს, მაგრამ ბევრი გულშემატკივარი მიიჩნევს, რომ რაული ამ პრიზს არანაკლებ იმსახურებდა. თქვენ როგორ ფიქრობთ?

- დიახ, ხალხი ახლა ამბობს, - რაულ, შენ ისევე იმსახურებ ამ პრიზს, როგორც რონალდოო, - მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ რონალდოს უნდა წავართვათ "ოქროს ბურთი" და რაულს მივცეთ. ადრე ხალხს საკმაო დრო ჰქონდა იმისათვის, რომ რაულის ნიჭი და ოსტატობა შეეფასებინა. ახლა ის უკვე გულშემატკივართა გულებში ზის, და, ვფიქრობ, სამუდამოდ დარჩება. რაულისთვის ეს ჯილდო ყველაზე მნიშვნელოვანი უნდა იყოს.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დგებიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.



გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

სახელი და გვარი

ოჯახური მდგომარეობა:
დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი

მისამართი:

შვილები: (თუ გყავთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

სამუშაო ადგილი

დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

თქვენი ინტერესები და ჰობი:

შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?

რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?

გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაიღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამბავსამი?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით გეთქოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)

ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

TV პროგრამა 5 იანვარი

რუსთავი - 2

08.00 მუსიკა
08.15 მულტფილმი
09.50 საბავშვო ფილმი „ჰარი პოტერი და ფილოსოფიური ქვა“
12.20 მხ. ფილმი „ცხრიდან ხუთამდე“
14.30 ევგენი კისინი. ჩაიკოვსკის პირველი კონცერტი ფორტეპიანოსათვის
15.15 მხ. ფილმი „ბამბარჯოგათ მე თქვენი დეიდა ვარ“
17.10 დოკ. ფილმი „მიკროკოსმოსი“ 1-ლი
18.00, 21.00 კურიერი
18.15 დოკ. ფილმი „მიკროკოსმოსი“ მე-2 ნაწილი
19.10 რუსული ფილმი „ბრილიანტის ხელი“
22.00 ქართ. მხ. ფილმი „ჭრიჭინა“
23.45 მხ. ფილმი „ფრთა და ფეხი“

პირველი არხი

09.00, 12.00, 15.00, 20.00 მოამგე
09.15 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
09.40 მხ. ფილმი „მშვენიერი სულელი ქალი“
11.25 მულტსერიალი „უკანასკნელი ნაკრძალი“
12.15 მხ. ფილმი „პრაქტიკანტი ქალი“
13.45 „საცირკო სანახაობა“
14.30 „საქართველო და გარესამყარო“
15.15 მხ. ფილმი „მსახური ქალი ტიტანიკიდან“
16.55 რამპა
17.00 50-50
17.35 „პალიტრა“
18.00 ვესტნიკი
18.20 გასტი-გუგუ
18.40 „მრავალჟამიერ“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.20 გერიანიძის კლიპი
20.30 გენი ჰილი
21.05 „ძველი ვოდევილები“
22.00 „გეთლემის ზღაპარი“
22.20 კონცერტი
23.30 გერიანიძის კლიპი
23.35 „საქართველო არის ესე“
00.00 საფოტაო წირვა-ლოცვის ტრანსლაცია სიონის საკათედრო ტაძრიდან

პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
08.20 გან. კვირის საუკეთესო ხულიგანი
10.00 გან. ინფორმატორი
11.00 გან. მუსათეული
11.45 - 13.45 პაუზის გარეშე
13.45 მუსიკა
17.00 ფილმი კომედია „გიჟები ქალების საერთო საცხოვრებლიდან“
19.00 გან. ინფორმატორი
19.30 ვიდეორადიო
21.00 გან. რუსული მუსათეული
21.45 აბა გამოიცანი კადრი
22.40 პოლიტპაპარაცი
23.00 უცნობი
00.00 ფილმი ბრავო „ახალგაზრდობა, საავადმყოფო, სიყვარული“
01.45 ფილმი ღამურა „უბრალოდ სისხლი“
03.45 პაუზის გარეშე

მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამგე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 მობზაურობა სასიტყვეთში
21.00 დოკ. ფილმი
21.15 ჯანმრთელობა
22.10 მხ. ფილმი „შესანიშნავი“

იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.15 აღსავალი
08.20, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 18.30, 19.30, 21.35, 00.05 მუსიკა
08.30 მხ.ფ. „ჭაბუკი გუშტიდან“
10.20 მხ.ფ. „საყვარელი სახე“
13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
13.10, 18.00 მულტფილმი
]14.10 დოკუმენტური ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 გუნების ფერები
20.00 მხ.ფ. „ვიცეკვოთ პატარავ“
22.30 მხ.ფ. „ქორწილი“
00.30 ღამის ფილმი

კავკასია

12.00 ინდური მხ. ფილმი „მზიური დინასტია“
15.00 მხ. ფილმი „გატაცება 60 წამში“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „ძვლების მტვრეველი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „პოლიციის აკადემია“
22.30 მხ. ფილმი „ბარი ველური კოიოტი“

მეცხრე არხი

10.00 მულტფილმი „შობის წინა ღამე“
10.50 მხ. ფილმი „უკანონობა“
12.40 „მსოფლიო ფეხბურთი“
13.00 ქართული მხ. ფილმი „ცისფერი მთები“
14.30, 17.30, 20.30, 21.45, 23.45 მუსიკა
14.45 მხ. ფილმი „ვიგრაცია“
16.30 დოკ. სერიალი „ველური გუნება“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ძარი“ მე-40 სერია
18.30 მულტფილმი „მეფის ასული შაპრაზადი“ მე-40 სერია
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 86-ე სერია
20.00 გადაცემა „მსოფლიო რაგბი“
21.00 რუსული სერიალი „ზამთრის ალუბალი“ მე-6 სერია
21.30 „მსოფლიო კულტურის საგანძური“. „გამგების ძველი ქალაქი. გერმანია“
22.00 მხ.ფ. „კიდევ ერთი კარგი რამ“
00.00 მხ.ფ. „ცხოვრება კადრს მიღმა“

VII არხი

09.10 „აჩიკუდა“
09.35 აუდიო-ვიდეო-ტელე
10.10 მელოდია
10.30 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.00 მხ.ფ. - „იანკები აფრიკაში“
12.25 კომპიუტერული ტექნიკა
13.00 „ობიექტივი“-გუშა მანაგაძე
14.10 დისნეი და მისი მეგობრები
14.30 მოგილურები
15.20 სპორტი
18.20 აუდიო-ვიდეო-ტელე
19.00 „აჩიკუდა“
19.45 კომპიუტერული ტექნიკა
20.30 „ლა-ლა-ლა“
21.35 „სახლიდან გაუსვლელად
22.00 „კინოკლუბი“ -მხ.ფ. „იცეკვე ჩემთან“. მელოდრამა.
00.00 მოგილურები
00.35 „ბიორითმი“

ORT

08.00, 11.00, 15.00, 19.00 Новости
08.10 Худ.фильм „Город мастеров“
09.35 Мультфильм „Бременские музыканты“
09.55 Слово пастыря
10.10 Здоровье
11.10 „Смак“ с Андреем Макаревичем
11.30 „Путешествия натуралиста“
12.00 Смехопанорама Е.Петросяна
12.40 Комедия „Баламут“
14.20 „Чтобы помнили...“ Мария Миронова.
15.15 Леонид Якубович в программе „Слабое звено“
16.10 „В мире животных“
16.55 „Ералаш“
17.20 Мюзикл „Юнона и Авось“
19.15 Худ.фильм „Москва слезам не верит“
22.00 Время
22.30 Худ.фильм „Сирота казанская“
00.00 Рождество Христово. Трансляция из Храма Христа Спасителя

РТР

07.30 Мультфильм „Щелкунчик“
07.55 Худ.фильм „Мэри Поппинс, до свидания!“
10.25 „Сам себе режиссер“
11.20 Комната смеха
12.20 Мультсериал „Джеки Чан“
13.00 Худ.фильм „Анискин и Фантомас“
14.30 Вести-Москва. Неделя в городе
15.00 Вести
15.20 Концерт Олега Митяева в Кремле
16.40 Худ.фильм „Сибирский цирюльник“
20.00 „Бенефис „Городка“
21.00 Вести
21.25 Местное время. Вести-Москва
21.40 Худ.фильм „Желтый карлик“
23.45 Рождество Христово. Торжественное Рождественское богослужение.

НТВ

07.45 Фильм-детям „Кащей Бессмертный“
08.50 Комедия „Жандарм женится“
09.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00 Сегодня
09.05 Комедия „Жандарм женится“. (Продолжение)
10.25 Телешоу „Шар удачи“
11.05 „Кулинарный поединок“. „Рождественский стол“
12.05 „Квартирный вопрос“. „Кабинет для водителя трамвая“
13.05 „Профессия - репортер“. „Затерянный рай“
13.25 Служба спасения
14.05 Худ.фильм „Джек-снеговик“
15.55 Вкусные истории
16.00, 17.00, 18.00, 19.00, 20.00 Сегодня
16.05 Своя игра
17.25 „Женский взгляд“. Александр Абдулов
18.05 „Шоу Елены Степаненко“
19.05 Звезды Голливуда в экстремальном шоу „Фактор страха“
20.25 Худ.фильм „Послание в бутылке“
22.45 Худ.фильм „Майкл“
00.30 Худ.фильм „Старший сын“. 1 и 2 с

სკანდინავიური კროსვორდი



წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,

მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.